ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## „სასწრაფოდ დაფარეთ დავალიანება“

გზავნილები, რომლებსაც ონლაინსაკრედიტო კომპანიები მომხმარებლებს უგზავნიან



გვ.6

## ლარი ისევ გაუფასურდა

პარასკევი, 6 იანვარი, 2017 №4 (7239) ფასი: 50 თეთრი

# ნიკა მელია გიგა ბოკერიას გაემიჯნა



გვ.2



„სააკაშვილი პარტიასაც შეინარჩუნებს და პარლამენტშიც ეყოლება დასაყრდენი“



## მინისტრები საწვავით ვაჭრობენ?

ლევან ხაბეიშვილი: „სამინისტროებმა 10 დღეში 3.481.200 ლიტრი საწვავი შეიძინეს“





გვ.4



გვ.2

## კახა კუკავა: „ბუნებრივ აირში ჰაერს უმატებენ“



რევაზ არველაძე: „ამის გაკეთებას ვერცერთი კომპანია ვერ გაბედავს“





გვ.4

## პეტრე მამრაძე: „უსუფაშვილს საქართველოში ნულოვანი მხარდაჭერა აქვს“

ნინო ზაუტაშვილი: „საზოგადოებრივი მაუწყებლის პერსონალის შემადგენლობა უნდა გადაიხედოს“



გვ.5



გვ.5

## ვალერი გელბახიანი: „ხალხს ფულიანი ადამიანების პარლამენტში მოსვლა ძალიან აღიზიანებს“

„ხელისუფლება საზოგადოებასთან არ ურთიერთობს“

ISSN 1987-9385

სოსო ცინცაძე: **„ნაციონალური მოძრაობის** ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგა“



გვ.3



გვ.6

## კომერციულ ბანკებში სესხების გალარების პროგრამა 15 იანვრის შემდეგ დაიწყება



გვ.3

„გირჩი“ იწყებს ახალ კამპანიას „დააშრე ჭაობი“

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

2017, 6 იანვარი, №4

# ნიკა მელია გიგა ბოკერიას გაემიჯნა

## „სააკაშვილი პარტიასაც შეინარჩუნებს და პარლამენტშიც ეყოლება დასაყრდენი“

შორენა მარსაგიშვილი

სენატორ მაკეინის თბილისურმა ვოიაჟმა ნაციონალებზე აშკარად იქონია გავლენა. „ახალ თაობასთან“ საუბარში პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთმა ლიდერმა ლადო სადღობელაშვილმა რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ მაკეინის წასვლის შემდეგ სააკაშვილთან დაპირისპირებული ნაციონალები სხვა ხმაზე აჭიკჭიკდებოდნენ.

ალიანსელის პროგნოზი ნაწილობრივ გამართლდა და ამ მხრივ პირველი მერცხლის მისია ნიკა მელიამ შეასრულა, რომელიც სამიოდე თვის წინ სხვებთან ერთად სააკაშვილს ღიად დაუპირისპირდა, როცა პარლამენტში შესვლა გადაწყვიტა.

მთელი ამ დროის განმავლობაში, პარლამენტში შესული ნაციონალების მსგავსად, ის პარტიის ახალი თავმჯდომარის არჩევას უჭერდა მხარს. ამის გარდა, მას 20 იანვრისთვის დაგეგმილი ყრილობა არალეგიტიმურად მიაჩნდა.

ნაახალწლევს კი მელიას პოზიციები რადიკალურად შეიცვალა.

მისი შეცვლის ამბავი ე.წ. ბოკერიას ფრთასაც გაუგია და, როგორც ამბობენ, ამის გამო დააჩქარა სერგო რატიანმა განცხადების გაკეთება. რატიანმა განცხადება 4 იანვარს გაავრცელა, სადაც ის ყრილობის არალეგიტიმურობაზე საუბრობს.

– ყველამ იცოდა, რომ პარტიის ოფისი მუშაობას 5 იანვარს განაახლებდა. მანამდე ყველა საახალწლო არდადეგებზე იყო წასული. სერგო რატიანის განცხადება ყველასთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ნიკა მელიას ბრიფინგის შემდეგ კი ყველაფერი ნათელი გახდა. მათ გაიგეს, რის თქმასაც მელია აპირებდა და, თავიანთი ჭკუით, მას დაასწრეს, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში ნაციონალებთან დაახლოებულმა პირმა.

რაც შეეხება მელიას, ის შეწუხებულია იმის გამო, რომ პარტიის მმართველობაში მყოფი მცირე ჯგუფი დაუპირისპირდა უმრავლესობის ნებას და მიზნად დაისახა მრავალათასიანი ყრილობის საბოტაჟი.

საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე ნიკა მელიამ გიგი უგულავასთან გამართულ შეხვედრაზეც ისაუბრა. რამდენიმე დღის წინ ის გიგა ბოკერიასთან ერთად შეხვდა პატიმრობაში მყოფ თბილისის ყოფილ მერს. მაშინ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ამ სამეულმა ყრილობის ჩაშლის გეგმა შეიმუშავა.

მელია ამ ინფორმაციას არ



ადასტურებს, სამაგიეროდ, ამბობს, რომ მისი და უგულავას პოზიციები გაიყო.

– ჩვენ რამდენიმე დღის წინ შევხვდით სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ერთმანეთს. ვიცი მისი მოსაზრებები. ბევრ საკითხზე ემთხვევა ჩვენი პოზიციები, ბევრ საკითხზე – არა. არ ემთხვევა ჩვენი პოზიციები პარტიის განვითარებასთან დაკავშირებით, პარტიის მომავალთან დაკავშირებით. პარტიის 7.000-კაციანი ყრილობის ჩატარებაზე ჩემი და გიგი უგულავას პოზიციები ერთმანეთს არ ემთხვევა, – განაცხადა მელიამ.

ის 20 იანვარს დაგეგმილი ყრილობისგან დიდ სიახლეებს ელოდება. მას ძნელად წარმოუდგენია იმ ადამიანებთან თანამშრომლობა, რომლებიც ყრილობის ჩაშლას ცდილობდნენ.

მელიას აზრით, ამ ადამიანებმა თავად უნდა მიიღონ გადაწყვეტილება და მათვე უნდა უპასუხონ მედიას კითხვაზე, თუ როგორ წარმოუდგენიათ ორი დაპირისპირებული ჯგუფის ერთ პარტიაში მუშაობა.

– ეს კითხვა თავად იმ ჯგუფს უნდა დაუსვათ, თუ რამდენად არიან მზად ისინი, დარჩნენ ნაციონალურ მოძრაობაში. ეს ის ჯგუფია, რომელმაც აჟიოტაჟი ატეხა და რეალურად საბოტაჟით არის დაკავებული. ეს კითხვა არის მათთან. ჩვენ აბსოლუტურად ყველასთან ყრილობის შემდეგ ვაპირებთ თანამშრომლობას, რადგან ისინი არიან ჩვენი კოლეგები, მეგობრები და მათთან ერთად ბევრჯერ გვიბრძოლია, – ამბობს პარტიის ერთ-ერთი ლიდერი.

ნიკა მელია შეწუხებულია იმის გამო, რომ აღნიშნული ჯგუფი დაკავებულია მხოლოდ თანამდებობის, გავლენისა და ინტერესების შენარჩუნებით. ამასთან, არაფერს ამბობს, მოხდება თუ არა მათი თანამდებობებიდან გადაყენება. მხოლოდ იმას ამბობს, რომ ყრილობა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებს.

– 20 იანვარი იქნება ნაციონალური მოძრაობის განახლების დღე. ნაციონალური მოძრაობა მიიღებს განახლებულ ენერგიას. ბუნებრივია, განისაზღვრება ახალი ხედვა, თვისობრივად გადახალისდება პარტია. ჩვენდა სამწუხაროდ, სწორედ ეს არის ის საკითხები, რომლებსაც ეწინააღმდეგება ეს მცირე ჯგუფი, – განაცხადა მელიამ.

დეპუტატი საგანგებოდ მიმართავს ყრილობის მოწინააღმდეგეებს და იმასაც პროგნოზირებს, თუ რა განცხადებებს გააკეთებენ ისინი ნაყრილობევს.

– 7.000 დელეგატი მოდის. მოგიწოდებთ, მიიღოთ მონაწილეობა. თქვენი წინადადება დააყენეთ, თუ დაგიჭერენ მხარს, თქვენ გაიმარჯვებთ, თუ არა – მეორე მხარე. თუმცა მშვენივრად იციან, რომ ვერ გაიმარჯვებენ და დაიწყეს არალეგიტიმურობასთან დაკავშირებით ბრალდებები, – ამბობს პარტიის ერთ-ერთი ლიდერი.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# კახა კუკავა: „ბუნებრივ აირში ჰაერს უმატებენ“

## რევაზ არველაძე: „ამის გაკეთებას ვერცერთი კომპანია ვერ გაბედავს“

ნონა ცაბაძე

მოსახლეობის უკმაყოფილება ყაზტრანსგაზ თბილისის მიმართ ყოველდღიურად მატულობს. ბევრ მომხმარებელს დეკემბერში გაზრდილი გადასახადი მიუვიდა. გამოითქმის ეჭვი, რომ ბუნებრივ აირში დიდი რაოდენობით ჰაერს ურევენ, რომ ხელისუფლებამ ვერ გაბედა ტარიფის მომატება და ასე იღებს მოსახლეობის ჯიბიდან გაზრდილ საფასურს.

აღნიშნულ ბრალდებას გუშინ ყაზტრანსგაზ თბილისში გამოეხმაურნენ.

როგორც ყაზტრანსგაზ თბილისის ფინანსური დირექტორი ნინო თურმანიძე აცხადებს, 2016 წლის დეკემბერში მიღებულ და რეალიზებულ იქნა 123 მილიონი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი, მაშინ როცა ამავე წლის ნოემბერში მიღებული იყო 82 მილიონი კუბური მეტრი.

– ჩვენი აბონენტების მიერ მოხმარებული გაზის რაოდენობის მატებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ტემპერატურის მკვეთრმა კლებამ. დეკემბერში დღის საშუალო ტემპერატურა 5-8 გრადუსით დაბალი იყო 2015 წლის დეკემბერთან შედარებით, – განაცხადა ნინო თურმანიძემ.

მისივე თქმით, ქალაქში შემომავალი გაზი ნაწილდება უშუალოდ საცალო მომხმარებელზე და მიღებული გაზის აღრიცხვა ხორციელდება ინდივიდუალური მრიცხველების მეშვეობით. შესაბამისად, დეკემბერში მოხმარებული გაზი აღირიცხა აბონენტების მრიცხველებზე.

თურმანიძის განცხადებით, ნებისმიერ აბონენტს საშუალება აქვს, თავად იანგარიშოს მოხმარებული გაზის მოცულობა და საფასური.

რაც შეეხება გაზის ხარისხს, ყაზტრანსგაზ თბილისში განმარტავენ, რომ კომპანიას ბუნებრივ აირს აწვდის საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია და სწორედ ის არის პასუხისმგებელი გაზის ხარისხზე. თურმანიძე იქვე განმარტავს, რომ საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია ამოწმებს გაზის ხარისხს და, დღეის მდგომარეობით, ბუნებრივი აირის ხარისხი შეესაბამება საქართველოში არსებულ სტანდარტებს.

ყაზტრანსგაზ თბილისში იქვე იმასაც განმარტავენ, რომ ამ ეტაპისთვის ბუნებრივ აირზე ტარიფის მატება არ იგეგმება.

* * *

„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა აცხადებს, რომ ორ-სამ დღეში დადებენ დამამტკიცებელ მასალებს, რომ ბუნებრივ აირში დიდი რაოდენობით ჰაერს უმატებენ და ამ მაქინაციისთვის საზოგადოებამ პასუხი უნდა მოსთხოვოს გაზის კომპანიებს.

**კახა კუკავა:**

– ხელისუფლებამ ვერ გაბედა ტარიფის ზრდა და ასე ცდილობენ მოსახლეობიდან თანხების ამოღებას. შევარდნაძის დროს იყო, ვითომ პურს რომ არ აძვირებდნენ ხოლმე და პური მკვეთრად იკლებდა წონაში. სწორედ ანალოგიური ხდება ახლაც. ნოემბერ-დეკემბერში შექმნილი კრიზისის ფონზე, როცა ისედაც მთელი საქართველო მთავრობის წევრების დედებს კითხულობდა, მათ გაზის გაძვირების შეეშინდათ პოლიტიკური თვალსაზრისით და ამიტომ მიიღეს ეს გადაწყვეტილება.

***– როგორი გადაწყვეტილება?***

– ბუნებრივ აირში უმატებენ ჰაერს. „თავისუფალი საქართველო“ უახლოეს დღეებში გამოაქვეყნებს ამის დამამტკიცებელ დოკუმენტებს.



ბუნებრივ აირზე გადასახადი მეც მომივიდა არანორმალურად დიდი. არც ისეთი ცივი დეკემბერი იყო, რომ ასეთი სხვაობა მოეცა.

ის, რომ დეკემბერი ნოემბერზე უფრო ცივია, კალაძის აღმოჩენა არ არის და ყველამ ვიცით. წლევანდელი დეკემბერი ნამდვილად არ არის უფრო ცივი, ვიდრე შარშანდელი იყო. ჩვენ დავიწყებთ ფართომასშტაბიან პროტესტს ამასთან დაკავშირებით. მთავრობა ზის დენთის კასრზე და ნაპერწკალი შეიძლება ყოველ წამს გამოჩნდეს.

***– ეს ნაპერწკალი ბუნებრივი აირის გაზრდილი საფასური გახდება?***

– ეს გაზის ტარიფი იქნება თუ



სხვა რამ, ამას მნიშვნელობა არ აქვს. დღეს საქართველოში შექმნილია რევოლუციური სიტუაცია. ხალხს აღარ შეუძლია ცხოვრება ისე და იმ პირობებით, როგორც ამას მთავრობა სთავაზობს და მთავრობას, უბრალოდ, აღარ შეუძლია, ძველებურად მართოს. გაყალბებისა და ფალსიფიკაციის მთელი არსენალი ხელისუფლებას ამოწურული აქვს.

***– სოციალური ფონი კიდევ უფრო დამძიმდება?***

– ის ყოველდღიურად მძიმდება. ეს არის პროცესი, რომელსაც ვუყურებთ ჩვენ ონლაინრეჟიმში. აქ ანალიზი საჭირო არ არის. მთავრობას არანაირი ანტიკრიზისული გეგმა არა აქვს.

***– აცხადებთ, რომ დოკუმენტებს დადებთ. როგორ აპირებთ ამ საკითხის შესწავლას, რაც ბუნებრივი აირის მოხმარების მატებას ეხება?***

– ეს არის მრავალმილიონიანი მაქინაცია, რომელიც ჩაუტარეს მოსახლეობას. ჩვენ სამართლებრივადაც მოვძებნით იმის საშუალებას, რომ თანხების კომპენსაციაზეც ვიმსჯელოთ. ეს მაქინაცია ხელისუფლებას ძალიან ძვირად დაუჯდება.

* * *

„ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი **რევაზ არველაძე** ბუნებრივ აირში ჰაერის შერევას კატეგორიულად გამორიცხავს.

***– ბატონო რევაზ, მოსახლეობა აღშფოთებას ვერ მალავს დეკემბერში ბუნებრივ აირზე გაზრდილი გადასახადის გამო. გაჩნდა ეჭვები, რომ კომპანიები ბუნებრივ აირში ჰაერს ურევენ. რას იტყვით თქვენ, როგორც სპეციალისტი?***

– ეს შეუძლებელია! როდესაც ჰაერი ერევა ბუნებრივ გაზში, გაზში წარმოიშობა მგრგვინავი გაზი და საშიში ხდება, რადგან, შესაძლოა, გამოიწვიოს აფეთქება. ამიტომ ჰაერის შერევას ბუნებრივ გაზში ვერცერთი კომპანია ვერ გაბედავს, რადგან ეს აუცილებლად გამოიღებს მძიმე შედეგებს. ეს გამორიცხულია.

***– მაშ, რას უკავშირებთ ამას?***

– დეკემბერი საკმაოდ ცივი იყო და, სხვა თვეებს რომ ადარებენ, იმის ფონზე, ალბათ, ბევრად გაზრდილი გადასახადი მოვიდა.

***– ანუ თქვენ გამორიცხავთ, რომ რაიმე მაქინაციას ჰქონდეს ადგილი?***

– ბუნებრივ გაზში ჰაერის შერევას აბსოლუტურად გამოვრიცხავ. სხვა რა მაქინაცია შეიძლება იყოს, მე არ ვიცი. არ ვიცი სხვა რაიმე მიზეზი. დეკემბერი იყო ძალიან ცივი და ეს არის ერთადერთი მიზეზი. როგორც ამბობენ, 10 იანვრიდან ტემპერატურა კვლავ მკვეთრად დაიკლებს, საკმაოდ სერიოზული აცივება იქნება. არ არის გამორიცხული, იანვარშიც გაცილებით მე-



ტი იყოს ბუნებრივი აირის ხარჯვა, ვიდრე შარშან იანვარში იყო.

***– თუ ელოდებით ტარიფის მატებას ბუნებრივ აირზე?***

– ჯერჯერობით მე როგორც ვიცი, არცერთ კომპანიას შეტანილი არ აქვს განაცხადი ტარიფის ზრდის თაობაზე. ეს პროცესი სერიოზულად არის დამოკიდებული ლარის კურსზე. თუ შენარჩუნდა ის კურსი, რომელიც ამჟამად არის, არა მგონია, ზრდას ჰქონდეს ადგილი, ხოლო თუ კვლავ განაგრძო ლარმა გაუფასურება, ეს გავლენას იქონიებს ბუნებრივი აირის ფასზე.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სოსო ცინცაძე: „ნაციონალური მოძრაობის ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგა“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე მოვლენებზე საუბრობს.

***– ბატონო სოსო, ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე პროცესებს როგორ აფასებთ? რეალურად რა ხდება?***

– ნებისმიერი პარტიის წინაშე, რომელიც ორად იყოფა, დგება სიცოცხლისუნარიანობის საკითხი. ნაციონალური მოძრაობის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების ერთადერთი შანსი მისი ერთობა იყო. პარტიამ თითქოს გაუძლო გარედან ოთხწლიან პრესს, კოლექტიური დანაშაულის ბრალდებას, პარტიის აკრძალვის მცდელობასა და ა.შ.

ხელისუფლება შეგნებულად არ წავიდა ამაზე და ჭკვიანურადაც მოიქცა. „ქართული ოცნება“ არ აჰყვა ზოგიერთი „ცხელი თავის“ კატეგორიულ მოთხოვნას, რომ ნაციონალური მოძრაობა, როგორც პარტია, გასამართლებულიყო და აკრძალულიყო. ამ ყველაფერს გაუძლო ნაციონალურმა მოძრაობამ, მეტიც, დამარცხების შემდეგ, პირველ საპარლამენტო არჩევნებზე დამაკმაყოფილებელი შედეგიც კი აჩვენა, თითქმის ყველა არჩევნებზე მეორე ძალის პოზიცია შეინარჩუნა.

***– სწორედ ამ ფონზეა საინტერესო, რა მოხდა.***

– რეალური ინფორმაცია არ აქვს არავის, თუ რა მოხდა – ეს იყო გარედან ინიცირებული, ჩარევის შედეგი თუ ეს იყო შიგნით წარმოქმნილი განხეთქილება, თანაც ასეთი ძლიერი განხეთქილება.

ერთი რამ ბუნებრივია – პარტიას გაუჭირდება, რომ კვლავ თავმჯდომარე იყოს სააკაშვილი. ასევე ბუნებრივია ისიც, რომ ადამიანი, რომელმაც შექმნა ეს პარტია და აქცია ასეთ ძალად, რთულია, ხელოვნურად ჩამოაცილონ პარტიას. ფაქტი ერთია: პარტია გაიყო ორ ნაწილად – გუშინდელებისა და ხვალინდელების ნაწილებად.

***– ვინ არის წარსული და ვინ – მომავალი?***

– გიგა ბოკერია, დავით ბაქრაძე და ეს ნაწილი გამოდიან დღევანდელების როლში, მეორე ნაწილი კი, რომელიც ამბობს, რომ სააკაშვილი უნდა იყოს თავმჯდომარე, არიან ნეტარმორწმუნე გუშინდელები საუკეთესო შემთხვევაში, უარეს შემთხვევაში კი – ფანატიკოსი არაპროფესიონალები. სააკაშვილს, ელემენტარულად, ჩამოსვლაც კი არ შეუძლია, არათუ პარტიის მართვა. პარტია არის ცოცხალი ორგანიზმი, ყოველდღიური გადაწყვეტილებებია მისაღები. წარმოუდგენელია, სააკაშვილი ყურმილზე ჩამოეკიდოს და ასე დისტანციურად მართოს პარტია. ეს შეუძლებელია.

***– ასეთი მოსაზრებაც მოვისმინე, რომ შესაძლებელია, გიგი უგულავა გათავისუფლდეს ციხიდან, სწორედ ის ჩაუდგეს სათავეში ბოკერიას ფრთას და ერთგვარ ლიდერად იქცეს. რამდენად რეალურია ეს?***

– რამდენადაც მე ვიცნობ უგულავას, მისი რესურსი არ არის საკმარისი, რომ ის იყოს პარტიის ლიდერი. რაც შეეხება მის გათავისუფლებას, არა მგონია, ასე განვითარდეს მოვლენები. თუ უგულავა მართლაც გათავისუფლდა ციხიდან, მაშინ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ეს პარტიის გახლეჩის ერთი გეგმის შემადგენელი ნაწილია.



***– ბოკერიას შანსები როგორია?***

– ბოკერია ინტელექტუალია. ის გონებრივი რესურსით ყველაზე ძლიერია იქ, მაგრამ ბევრისთვის ბოკერია რომის პაპზე მეტად კათოლიკეა, რაც მისი მინუსია. ბოკერია უფრო უკანა პლანიდან მოქმედი სტრატეგის როლში მესახება. ის უფრო კულისებში მოქმედი სტრატეგია, რასაც ხშირად „რუხ კარდინალს“ უწოდებენ.

დავით ბაქრაძე თავისი გაწონასწორებულობით დღეს ყველაზე მისაღები ლიდერი იქნებოდა, მაგრამ მან უარი თქვა, კენჭს არ ვიყრი პარტიის თავმჯდომარის პოსტზეო. როგორც ჩანს, ბაქრაძემ დემაგოგიის მოსალოდნელ საფრთხეს ვერ გაუძლო.

ეს რაც შეეხება ერთ ფრთას, მაგრამ მეორე ფრთის ლიდერი ვინ შეიძლება იყოს?! მე იქ ასეთ ლიდერს ვერ ვხედავ.

***– ისინი ლიდერად სწორედ მიხეილ სააკაშვილს მიიჩნევენ.***

– კი ბატონო, სიმბოლური ლიდერი შეიძლება იყოს სააკაშვილი, მაგრამ ადგილზე ვინ იქნება ლიდერი, რომელიც მიიღებს ყოველდღიურ გადაწყვეტილებებს, რომელიც მართავს პარტიას თუნდაც სააკაშვილთან შეთანხმებით?! მე ასეთ ლიდერს იქ ვერ ვხედავ.

მაგალითად, ოჯალანი, ქურთების პარტიის ლიდერი, თურქეთის ციხეში კი ზის და კი მართავს იქიდან პარტიას, მაგრამ აქ სულ სხვა სიტუაციაა. სააკაშვილის დონის, ქარიზმის, ინტელექტის ლიდერს ამ ფრთაში მე ვერ ვხედავ.

ერთი რამ ფაქტია – ამ ორომტრიალის შედეგად უკვე დადგა ნაციონალური მოძრაობის ყოფნა-არყოფნის საკითხი. რეალურად, დღეს საკითხი არ დგას, ვინ იქნება პარტიის ლიდერი. საკითხი ასე დგას – ნაციონალური მოძრაობა იქნება ასეთი თუ არ იქნება. ეყოლება თუ არა ქვეყანას ძლიერი ოპოზიციური პარტია, თუ ქვეყანა დარჩება ორკაციანი პარტიების იმედად, რომელთაც გაერთიანება არ სურთ, რომლებსაც ურჩევნიათ, პატარ-პატარა სექტებად იყვნენ ძლიერი ლიდერის გარეშე და არჩევნების შემდეგ დასჯერდნენ იმ მცირედ თანხას, რომელსაც სახელმწიფო გადაუგდებს.

## „გირჩი“ იწყებს ახალ კამპანიას „დააშრე ჭაობი“

პოლიტიკური პარტია „გირჩი“ იწყებს კამპანიას – „დააშრე ჭაობი“. როგორც „გირჩის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ ჯაფარიძემ გუშინ, 5 იანვარს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, კამპანიის ფარგლებში „გირჩი“ სახელმწიფო უწყებებს მიმართავს, გამოყონ ერთი თანამშრომელი, რომელსაც „გირჩი“ სამუშაო პროცესში დააკვირდება.

– ქვეყნის ეკონომიკა პრაქტიკულად გაჩერებულია, ეროვნული ვალუტა არასტაბილურია და ისევ განაგრძობს გაუფასურებას.

2017 წელს ხელისუფლებას უნდა გაეტარებინა მტკივნეული, მაგრამ მნიშვნელოვანი რეფორმები იმისთვის, რომ კარდინალურად შეეცვალა ეკონომიკური გარემო და გაეჩინა გრძელვადიანი მაკროეკონომიკური სტაბილურობის განცდა.



ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც უნდა გადადგმულიყო, არის ბიუროკრატიის და ბიუროკრატიული ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირება, თუმცა ნაცვლად ხარჯების შემცირებისა, ხელისუფლებამ გადაწყვიტა ფასები გაეზარდა საწვავზე, თამბაქოზე და ალკოჰოლზე, ავტომანქანებზე და ა.შ.

აღნიშნული ნაბიჯებით ხელისუფლებამ გვითხრა შემდეგი – არსებული ბიუროკრატია იმდენად მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს, რომ არათუ უნდა შევამციროთ, არამედ მოქალაქეებმა მის შესანახად უფრო მეტი ფული უნდა გადავიხადოთ, – განაცხადა ზურაბ ჯაფარიძემ.

მისივე თქმით, „გირჩს“ ამის არ სჯერა და იწყებს კამპანიას, რომლის მიზანი შოუს მოწყობა ან რომელიმე კონკრეტული საჯარო მოხელის დისკრედიტაცია არ არის.

– ჩვენ პერიოდულად ავარჩევთ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებულ სხვადასხვა სტრუქტურას და მივმართავთ ხელისუფლებას შემდეგი თხოვნით, აარჩიოს ამ სტრუქტურის ერთი, ნებისმიერი თანამშრომელი, დაგვრთოს ნება, ვნახოთ და გადავიღოთ ამ თანამშრომლის ერთი სამუშაო დღე.

ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ მოქალაქეებს, თუ რაში იხდიან გადასახადებს, რატომ უწევთ გაზრდილი ფასის გადახდა პროდუქტებში და ჯამში, რატომ არის გაჩერებული ქვეყნის ეკონომიკა, – აღნიშნა ჯაფარიძემ.

მან ჟურნალისტებს სთხოვა, ფურცელზე დაწერილი უწყებებიდან აერჩიათ რომელიმე, რათა „გირჩს“ მათთვის მიემართა.

აღნიშნულ უწყებებში მოხვდნენ: „სოლიდარობის ფონდი“; მერია; მთაწმინდის გამგეობა; დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო; მეწარმეების განვითარების ხელშეწყობის ცენტრი; მეწარმეების განვითარების სააგენტო; განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; განათლების და მეცნიერების სამინისტრო; ადიგენის, ასპინძის და ახალქალაქის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია.

ინტერპრესნიუსი

## ნიკა მელია გიგა ბოკერიას გაემიჯნა

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ნიკა მელიამ გუშინ, 5 იანვარს, მედიას ნაციონალური მოძრაობის თბილისისა და რაიონული ორგანიზაციების თავმჯდომარეებისა და მაჟორიტარობის კანდიდატების განცხადებაც გააცნო.

განცხადებაში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ ყრილობის ჩატარებისთვის ხელის შეშლა პარტიის ასიათასობით ამომრჩევლის ნების უგულებელყოფის მცდელობაა, რასაც არ დაუშვებენ.

– 30 ნოემბერს გაიმართა ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური საბჭოს სხდომა, სადაც მიღებულ იქნა მასშტაბური 7.000-კაციანი ყრილობის მოწვევის გადაწყვეტილება. რეგიონული და თბილისის პარტიული ორგანიზაციების უმრავლესობამ მხარი დაუჭირა პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილებას და ამჟამად ყრილობისთვის მზადება დასკვნით ფაზაშია. დღეისთვის უკვე ცნობილია ყრილობის 5 000-მდე დელეგატის ვინაობა.

სამწუხაროდ, პარტიის მმართველობაში მყოფი მცირე ჯგუფი დაუპირისპირდა როგორც პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილებას, ისე პარტიის წევრების აბსოლუტური უმრავლესობის ნებას და მიზნად დაისახა მრავალათასიანი ყრილობის საბოტაჟი. აღნიშნულმა ჯგუფმა საკუთარი პოზიციების შენარჩუნების მიზნით გადაწყვიტა განახლებისა და დემოკრატიული განვითარების პროცესის შეფერხება. ეს ადამიანები უგულებელყოფენ იმ ღირებულებებს, რომლებზეც მუდამ იდგა ჩვენი მოძრაობა და მიუღებელი მეთოდებით ცდილობენ მხარდამჭერების წინააღმდეგ მოქმედებას.

განსაკუთრებით დასანანია, რომ ხსენებული მცირე ჯგუფი მუდმივად საჯაროდ, მათ შორის ოფიციალურ დოკუმენტებში ცდილობს, არალეგიტიმურად წარმოაჩინოს ყრილობა და განიხილავს შესაძლებლობას, მიმართოს ივანიშვილ-ურთმელიძის სასამართლოს საკუთარი პარტიის წინააღმდეგ.

ნაციონალური მოძრაობა არის იმ ათასობით წევრისა და ხუთასი ათასზე მეტი მხარდამჭერის პარტია, რომლებიც ამ ოთხი წლის განმავლობაში გახდნენ პოლიტიკური დევნის, ძალადობის, მუქარისა და შანტაჟის სამიზნე და, მიუხედავად ამისა, არიან ივანიშვილთან ბრძოლის წინა ხაზზე. ამ ადამიანებს ვერავინ წაართმევს უფლებას, ჩაატარონ დემოკრატიული, მრავალათასიანი ყრილობა და გადაწყვიტონ პარტიის მომავალი, – ნათქვამია განცხადებაში.

* * *

ამ განცხადებასა და მელიას პრესკონფერენციას რამდენიმე საათის შემდეგ გამოეხმაურა მეორე ფრთა.

მათი საპასუხო განცხადება პარტიის ახალმა სახემ, ელენე ხოშტარიამ, გააკეთა. აღსანიშნავია, რომ ნაციონალებიდან ის იყო პირველი, რომელიც ამბობდა, რომ პარტია პარლამენტში უნდა შესულიყო.

ხოშტარია კოლეგის ცვლილებით ცოტათი გაკვირვებულია. მისი განცხადებით, ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ მელია 20 იანვრის ყრილობას თავად მიიჩნევდა არალეგიტიმურად.

ნაცმოძრაობის ახალი სახე ამბობს, რომ ისინი მოწინააღმდეგე ფრთას ბინძურ კამპანიაში არ აჰყვებიან, რადგან უფრო სერიოზული მიზნები აქვთ.

– ადამიანი, რომელიც სულ რამდენიმე დღის წინ თავად წუხდა ყრილობის ლეგიტიმურობაზე, დღეს, სამწუხაროდ, ჩაერთო იმავე კამპანიაში, რომელიც გულისხმობს თავდასხმას თავის თანამებრძოლებზე, რომელსაც ეძახის ახირებულ ჯგუფს.

ეს არის ის, რამაც მიიყვანა პარტია ამ მდგომარეობამდე და რამაც დაასუსტა ნაციონალური მოძრაობა. ჩვენ არ ვაპირებთ, შევყვეთ მათ ამ ბინძურ კამპანიაში. ჩვენი ამოცანაა ბიძინა ივანიშვილის გუნდთან ბრძოლა, რომელსაც ვერ მოგვწყვეტს ვერც ასეთი ბინძური კამპანია, – განაცხადა ელენე ხოშტარიამ.

* * *

პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი ლადო სადღობელაშვილი კი მორიგ პროგნოზს აკეთებს და ვარაუდობს, რომ მელიას კიდევ რამდენიმე დეპუტატი შეუერთდება.

– კიდევ ერთხელ გეუბნებით, მაკეინი ახალ წელს თბილისში სააკაშვილთან დაპირისპირებული ნაციონალების მისაჩუხანებლად ჩამოვიდა. ეს მან კარგად გააკეთა. პარტიაში უკვე სხვა ხმაზე აჭიკჭიკდნენ. ჩემი სიტყვა დაიმახსოვრეთ, სააკაშვილი პარტიასაც შეინარჩუნებს და პარლამენტშიც ეყოლება დასაყრდენი, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში სადღობელაშვილმა.

## „პარლამენტი საკონსტიტუციო სასამართლოს ნორმალურ ფუნქციონირებას ხელს უშლის“

– საქართველოს 2012-2016 წლების მოწვევის პარლამენტმა დაარღვია საქართველოს კანონმდებლობა, როდესაც დადგენილ ვადებში არ აირჩია საკონსტიტუციო სასამართლოს მეცხრე მოსამართლე.

ამის შესახებ „ინსტიტუციური განვითარების ცენტრის“ ხელმძღვანელმა, კონსტიტუციონალისტმა კოტე ჩოკორაიამ განაცხადა.

მისივე განმარტებით, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არაუადრეს ერთი თვისა და არაუგვიანეს 10 დღისა, საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი წევრი გამწესდება.

– ვინაიდან პარლამენტის კვოტით არჩეულ ერთ-ერთ მოსამართლეს უფლებამოსილების ვადა ამოეწურა 2016 წლის 30 სექტემბერს, ახალი მოსამართლე თანამდებობაზე უნდა არჩეულიყო 2016 წლის პირველი სექტემბრიდან 20 სექტემბრის ჩათვლით. იმ დროს პროცესების გაჭიანურება წინასაარჩევნო პერიოდსა და პარლამენტართა მოუცლელობას დაბრალდა.

ახლადარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობიდან უკვე საკმაო დრო გავიდა, თუმცა მოქმედი პარლამენტი საკონსტიტუციო სასამართლოს ნორმალურ ფუნქციონირებას კვლავ ხელს უშლის, – აცხადებს კოტე ჩოკორაია.

მისივე შეფასებით, საქართველოს ახლად არჩეული პარლამენტის მხრიდან მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებაზე უარის თქმა, საქართველოს კანონმდებლობის პირდაპირი დარღვევაა და ინსტიტუტების უპატივცემულობას გამოხატავს.

– იმის ნაცვლად, რომ პარლამენტს დროულად აერჩია ახალი მოსამართლე, ის აგრძელებს მანკიერ პრაქტიკას კანონმდებლობის დარღვევით. თუმცა, იქ სადაც კონკრეტული ინტერესებია, მაგალითად, საკონსტიტუციო ცვლილებები, მასზე დაჩქარებული წესით მუშაობენ. საკონსტიტუციო სასამართლოს მეცხრე წევრის არარსებობა ისედაც დასუსტებულ საკონსტიტუციო სასამართლოს კიდევ უფრო მეტ პრობლემას უქმნის, მათ შორის გამხმაურებული საქმეების დროულად გადაწყვეტის დროს, – განაცხადა ჩოკორაიამ.

ინტერპრესნიუსი

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტური გენეტიკური სიმაღლის დროისა. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეუძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# მინისტრები საწვავით ვაჭრობენ?

## ლევან ხაბეიშვილი: „სამინისტროებმა 10 დღეში 3.481.200 ლიტრი საწვავი შეიძინეს“

შორენა მარსაგიშვილი

გასული წლის დამლევს ხელისუფლებამ პირობა დადო, რომ ქამრებს შემოიჭერდა და ისევე დაიტანჯებოდა, როგორც მისი ამრჩევი მოსახლეობა იტანჯება. ხელისუფლებამ, სხვა დაპირებების მსგავსად, არც ეს დაპირება შეასრულა და რეკორდული რაოდენობის საწვავი შეიძინა.

სამოქალაქო პლატფორმა „ახალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის ლევან ხაბეიშვილის თქმით, 2016 წლის 20 დეკემბრიდან 3 იანვრის ჩათვლით სამინისტროების ნაწილმა, სამინისტროს სსიპებმა, პარლამენტის აპარატმა და აუდიტის სამსახურმა 3.481.200 ლიტრი საწვავი შეიძინეს.



– მაშინ, როცა ჩვენმა მოქალაქეებმა საწვავის გაძვირება საკუთარ ჯიბეზე იგრძნეს და ახალი წლის შემდეგ, ფაქტობრივად, 20 თეთრით გაძვირებული ბენზინის, დიზელისა თუ გაზის ჩასხმა უწევთ, მაღალი თანამდებობის პირებისთვის, მინისტრებისთვის, მინისტრის მოადგილეებისთვის არც არაფერი შეცვლილა. ისინი ძველებურად აგრძელებენ ცხოვრებას და ბიუჯეტის ფულით ირეზერვებენ საწვავს. მათ იმდენად დიდი ოდენობით შეიძინეს საწვავი, რომ არ გამოვრიცხავ, საწვავით ვაჭრობდნენ, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში ხაბეიშვილი.

მისი თქმით, იმ ორგანიზაციებიდან, რომელთა შესახებაც ინფორმაცია მოიპოვეს, ფინანსთა სამინისტრო ლიდერობს.

– ფინანსთა სამინისტრომ და მისი სამსახურებმა 1.152.200 ლიტრი საწვავი შეიძინეს. მაინტერესებს, სად უნდა დახარჯოს ამ უწყებამ ამდენი საწვავი. დასუფთავების სამსახურზე რომ ყოფილიყო საუბარი, კიდევ გაჩუმდებოდა ადამიანი, მაგრამ ფინანსთა სამინისტროს ამდენი საწვავი არ სჭირდება, – აცხადებს „ახალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი.

საწვავის მიმართ გულგრილი ვერც სოზარ სუბარის უწყება და სახალხო დამცველის აპარატი დარჩნენ. ოფიციალური დოკუმენტებიდან ჩანს, რომ მადას არც სხვა უწყებები უჩივიან.

– საინტერესოა, დევნილთა სამინისტროს რაში უნდა დასჭირდეს 2017 წელს 150. 000 ლიტრი საწვავი? მეეჭვება, სოზარ სუბარი თავს იწუხებდეს დევნილების მონახულებით. ისიც გასარკვევია, რაში სჭირდება სახალხო დამცველის აპარატს 73.000 ლიტრი საწვავი. ვეტერანთა სამსახური რას მიკეთებს იმისთანას, რომ



54.000 ლიტრი საწვავი შეიძინა?

მათზე გაცილებით მეტი საწვავი აქვს შეძენილი გარემოს დაცვის სამინისტროს და მის დეპარტამენტებს. მათ ანგარიშზე 586.000 ლიტრი საწვავი მოდის. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 255.300 ლიტრი საწვავი აქვს შეძენილი.

აღმასრულებელ ხელისუფლებას არც კანონმდებლები ჩამორჩნენ. პარლამენტის აპარატმა უკვე დაიბევა 479.200 ლიტრი საწვავი. აუდიტის სამსახური სხვადასხვა უწყებას ხშირად უყენებს პრეტენზიებს საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად ხარჯვის გამო. ამ დროს თავად 102.400 ლიტრი საწვავი შეიძინეს, – აღნიშნავს ხაბეიშვილი.

მისივე ინფორმაციით, აღსრულების ბიუროს ანგარიშზე 163.000 ლიტრი საწვავი მოდის, ენერგეტიკის სამინისტროზე კი – 75.000 ლიტრი.

საწვავის გარეშე არც სპორტი და კულტურა დარჩენილან. კულტურის სამინისტრომ 48.000 ლიტრი საწვავი დაირეზერვა, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ – 61.100 ლიტრი.

სოციალური მომსახურების სააგენტოს 190.000 ლიტრი საწვავი შეუძენია, განათლების სამინისტროს სსიპებმა კი 52.000 ლიტრი იკმარეს. შერიგების სამინისტროს ანგარიშზე 40.000 ლიტრი მოდის.

ლევან ხაბეიშვილს არსებულ ვითარებაში ასეთი ოდენობის საწვავის შეძენა დიდ უსინდისობად მიაჩნია და გონივრული ეჭვებიც უჩნდება.

– ამ რაოდენობის საწვავს ეს უწყებები ვერ მოიხმარენ, რადგან ავტომანქანები სამინისტროში მხოლოდ რამდენიმე კაცს ემსახურება. ამ ოდენობის საწვავის შეძენა იმაზე მიუთითებს, რომ მათთან მანქანები ყველას, მათ შორის დამლაგებლებსა და დარაჯებსაც ემსახურება, – მიიჩნევს „ახალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი.

ლევან ხაბეიშვილს სხვა ეჭვებიც აქვს და არ გამორიცხავს, რომ ამ საწვავით ჩინოსანთა ოჯახობა დასეირნობდეს.

– დიდი ალბათობით, ეს საწვავი მაღალი თანამდებობის მეუღლეებს, მეუღლის მშობლებს, ცოლის დაქალებს, ბებია-ბაბუებს, შვილებს, შვილიშვილებსა და მეზობლებს ხმარდება. თავად სამინისტროები ამ რაოდენობის საწვავს ვერ მოიხმარენ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ – სახელმწიფო ავტომანქანებით სამინისტროებში მხოლოდ რამდენიმე პირი სარგებლობს, მათი ნაწილი კი საერთოდ არ დადის სამსახურში. აქედან გამომდინარე, ძალიან ბევრი კითხვა ჩნდება. შეძენილი საწვავის რაოდენობა იმდენად დიდია, რომ, როგორც უკვე გითხარით, არ არის გამორიცხული, ჩინოსნები ამ საწვავს ყიდდნენ, – ამბობს ხაბეიშვილი.

# პეტრე მამრაძე: „უსუფაშვილს საქართველოში ნულოვანი მხარდაჭერა აქვს“

გულიკო ბალაძე

მოსალოდნელია თუ არა 2017 წელს არასაპარლამენტო ოპოზიციური ფლანგის გაძლიერება და პოლიტიკური პროცესების იმგვარად წარმართვა, როგორც პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი ფიქრობს? ამის შესახებ „ახალი თაობა“ პარლამენტის ყოფილ წევრ **პეტრე მამრაძეს** ესაუბრა.

***– უსუფაშვილს სურს, პროცესები ოპოზიციურ ფლანგზე მკვდარი წერტილიდან დაძრას და ახალი მოძრაობა წამოიწყოს პრეზიდენტთან ერთად, მაგრამ ჩანს, მარგველაშვილი უსუფაშვილთან არ იქნება.***

– საქმეში ჩახედულმა მარგველაშვილმა განაცხადა, რომ უფრო ლოგიკურია, უსუფაშვილს რაღაც თანამშრომლობა, ვთქვათ, ალიანსი ჰქონდეს თუნდაც მმართველ დაჯგუფებასთან, „ოცნებასთან“, ვიდრე ის, რომ უსუფაშვილმა რაღაც ალიანსი შეძლოს მარგველაშვილთან, რომელიც არ არის არც სახელმწიფო, არც პოლიტიკური ფიგურა. უფრო ანტისახელმწიფო და ანტიპოლიტიკური ფიგურაა თავისი ხასიათითა თუ ბუნებით.

***– „ოცნებაში“ უსუფაშვილის განცხადება არეულობისკენ მოწოდებად აღიქვეს. ვოლსკის განცხადებას გავიხსენებ.***

– ვოლსკის განცხადებაში მხოლოდ ის იყო ნათქვამი, რომ ეს უფრო მოწოდებაა, გადადგეს მარგველაშვილი, ვიდრე ის შინაარსი, რომ გადადგეს, რაც იქნება, ის იქნება. ამას შეიძლება, დაეთანხმოს ადამიანი, მაგრამ, როგორც საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს უსუფაშვილის ამა თუ იმ განცხადებას, ისე არავითარი მნიშვნელობა არ ექნება, მარგველაშვილი რომ გადადგეს ან არ გადადგეს და ბოლომდე იყოს.

***– თუ უსუფაშვილი ახალ პოლიტიკურ მოძრაობას წამოიწყებს, ეს მისი, როგორც პოლიტიკური ფიგურის გამოცოცხლებას ხელს არ შეუწყობს?***




– არანაირად. უსუფაშვილს საქართველოში ნულოვანი მხარდაჭერა აქვს. რესპუბლიკელები მთლიანად, მათ შორის, უსუფაშვილი პარლამენტში აღმოჩნდნენ ერთი ადამიანის, ივანიშვილის ნებითა და ხათრით. როდესაც ეს ნება და ხათრი არ არსებობს, ისინი პარლამენტის გარეთ არიან, უსუფაშვილი რესპუბლიკელებიდან გავიდა თუ არა, სხვა პარტიას შექმნის თუ სხვა რამეს მოიმოქმედებს, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან დღიდან დაარსებისა დღემდე რესპუბლიკელებმა ვერ მოიპოვეს ვერანაირი საყრდენი და მხარდაჭერა მოსახლეობაში. ეს ასე გაგრძელდება.

***– სადმე ყოფილა, ნულოვანი მხარდაჭერით პიროვნება პარლამენტის თავმჯდომარე გამხდარიყოს?***

– მხოლოდ ისეთ ქვეყნებში, სადაც იმიტაციური დემოკრატიაა. მაგალითად, პუტინს შეეძლო, გადაეწყვიტა, ვთქვათ, გრიზლოვი ან სხვა ადამიანი გამხდარიყო პარლამენტის თავმჯდომარე.

***– ძალიან მაღალი სტარტიდან უსუფაშვილმა რატომ ვერ მოახერხა თავისი, როგორც პოლიტიკური ფიგურის შექმნა და ნდობის მოპოვება?***

– პასუხი ასეთია: უსუფაშვილმა კონიუნქტურული მოსაზრებების გამო, ნაცვლად იმისა, თავისი ფიცი შეესრულებინა, როგორც პარლამენტის წევრს, მით უფრო პარლამენტის თავმჯდომარეს (რომელიც იყო მეორე პირი ქვეყანაში), მართლა ყოფილიყო პარლამენტის თავმჯდომარე, დიდი ხნის განმავლობაში მორჩილად ასრულებდა იმას, რასაც „ოცნების“ გუნდი ეუბნებოდა.



***– ვინმე სხვა ქარიზმატული პიროვნება რომ ყოფილიყო, კარგ მდგომარეობას შეიქმნიდა სამომავლო პოლიტიკური კარიერისთვის?***

– ქარიზმატული პიროვნება კი არა, ელემენტარულად, მტკიცე ნებისყოფისა და მრწამსის ადამიანი კონსტიტუციას დაიცავდა და ფიცს ბოლომდე შეასრულებდა. ის მაშინვე მოიპოვებდა ხალხის ნდობას. როცა ფარცხალაძემ, გერმანიაში ნასამართლევმა ადამიანმა, მთავარ პროკურორად დანიშნულმა, საკნიდან უკანონოდ გაიყვანა სადისტური რეჟიმის ხერხემალი მერაბიშვილი, ამით მერაბიშვილს პოლიტიკური დევნილის სტატუსის მიღების საშუალება მისცა.

***– ალბათ, ეგ შეგნებულად გაკეთდა. ხომ იცოდნენ, რომ მერაბიშვილი არ გაჩერდებოდა.***

– შეგნებულად თუ შეუგნებლად, მაგრამ, როდესაც ადამიანი ისეთი დონისაა, როგორიცაა ფარცხალაძე, გასაკვირი არაფერია. რამდენად შეგნებულად ჩაიდინა შეიარაღებული ძარცვა გერმანიაში, რის გამოც შემდეგ გასამართლდა, ეს სხვა თემაა, თუმცა მაშინ პარლამენტის თავმჯდომარეს პრინციპული პოზიცია უნდა დაეჭირა, ეთქვა, რომ კატეგორიულად ითხოვს ვიდეოკამერების მასალების გამოქვეყნებას იმ დღესვე, კომისიას ქმნის და იძიებს მომხდარს. შემდეგ ითქვა, რომ ფარცხალაძე ნასამართლევია. უსუფაშვილს უნდა განეცხადებინა, რომ იმასაც შეისწავლის, ფარცხალაძე ნასამართლევია თუ არა და კატეგორიულად მოითხოვდა მის თანამდებობიდან გათავისუფლებას.

***– სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილებას ასცდებოდნენ?***

– რა თქმა უნდა. როდესაც კანონიერი ქურდი რემენა ჩამოვიდა კიევიდან საქართველოში დეპორტაციის გამო და აეროპორტიდან გააპარეს, მაშინაც არ ამოიღო ხმა.

***– ანუ უსუფაშვილი არ იყო პრინციპული?***

– უსუფაშვილი იყო ოპორტუნისტი კარგა ხნის განმავლობაში. გაიხსენეთ, რესპუბლიკელები რაღაც პერიოდში ითხოვდნენ კომისიის შექმნას, შემდეგ კი ერთ დღეში შეცვალეს თავიანთი გადაწყვეტილება ფარცხალაძეზე მერაბიშვილის საკნიდან გაყვანის გამო, რადგან ზოგიერთებმა თითი დაუქნიეს. როდესაც ადამიანი ხედავს, რომ პირი, უბრალოდ, ოფიციანტი და ლაქიაა, შემდეგ კი რაღაც მომენტში არც იქითაა, არც – აქეთ, მაგრამ თამაშს იწყებს, ეს უკვე არავისში პატივისცემას არ იწვევს.

წარმოიდგინეთ, უსუფაშვილს სრული მასშტაბით რომ აეთვისებინა თავისი, როგორც პარლამენტის თავმჯდომარის უფლებამოსილება და შეესრულებინა პარლამენტის წევრის ფიცი, ხალხი დაინახავდა და დააფასებდა. ამ შემთხვევაში, სამწუხაროდ, უსუფაშვილს საზოგადოებაში არანაირი ნდობა არ გამოუწვევია.

***– რატომ სამწუხაროდ?***

– სამწუხაროდ იმიტომ, რომ მე ვიცნობ უსუფაშვილს – ის არის ბევრზე მეტად ნაკითხი, უფრო ინტელექტუალური ადამიანი, კანონები იცის, საკმაოდ კარგი იურისტია და კოლექტიურ იბიარდს ვერ შეადარებ.

***– მიუხედავად ამისა, უსუფაშვილის, როგორც პოლიტიკოსის შეფასება და პოლიტიკური კარიერა დღეს ნულის ტოლია.***

– საინტერესოა, ნულის ტოლი სადამდეა. ისტორია შეიძლება გამეორდეს – ისევ გამოჩნდეს ქარიზმატული, ნდობით აღჭურვილი პირი, ისევ დასჭირდეს გუნდი და უსუფაშვილს, უკვე როგორც არა რესპუბლიკელს, არამედ რაღაც ახალი შენაერთის უფროსს, შეიძლება, რაღაც შესთავაზოს, თუმცა თავისით ვერ გავა. თავისი პოპულარობით ის ვერ გადალახავს ბარიერს, თუმცა, როგორც კი მოხვდა ბიძინა ივანიშვილის ყურადღების არეალში, თავისი პარტიითა და მეუღლით მის კოალიციაში აღმოჩნდა. გავიხსენოთ, ივანიშვილი რომ აცხადებდა, თინა და დათო პოლიტიკაში ჩემი გურუები (ანუ პედაგოგები) არიანო.

***– თუმცა ჯერჯერობით ყველაფერი დასრულდა.***

– დასრულდა, მაგრამ ივანიშვილს ბოლომდე პირადად დათოს მიმართ სიმპათია შერჩა და რაღაცებს სთავაზობდა.

***– წელს უსუფაშვილისგან ელოდებით განცხადების შესაბამის ქმედებებს?***

– არა, არაფერს ველოდები.

# ზამთარი და კვლავ ვირუსები

მოსახლეობის ავადობა რესპირატორული და სხვადასხვა ინფექციებით განსაკუთრებით მატულობს წელიწადის ცივ პერიოდში. ამ დროს ინფექციების 80%-ზე მეტი ვირუსებითაა გამოწვეული, მაშინ, როდესაც ზაფხულში უმეტესად ბაქტერიული ინფექციები გვხვდება. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, ყველას ებადება კითხვა: **რა არის ვირუსი და რომელ დაავადებას იწვევს?**

ამ თემაზე გვესაუბრება **თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, სეფსისის და ინფექციურ პათოლოგიათა ცენტრის კლინიკური დირექტორის მოადგილე, ჯანდაცვის სამინისტროს ექსპერტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ექიმი ინფექციონისტი მალვინა ჯავახაძე:**



— ვირუსი (ლათ. viruse— შხამი) გარემოში ფართოდ გავრცელებული მიკროსკოპული და არაუჯრედული აგებულების ნაწილაკია, ამიტომ სიცოცხლე და გამრავლება შეუძლია მხოლოდ სხვა ცოცხალი ორგანიზმის უჯრედებში. კერძოდ, იჭრება ადამიანის, ცხოველის ან მცენარის ორგანიზმში და ბევრ საშიშ დაავადებას იწვევს, ამიტომ განიხილება, როგორც უჯრედის პარაზიტი.

სადღეისოდ ცნობილია 3000-ზე მეტი სახეობის ვირუსი, მათგან ნახევარს ადამიანისათვის ზიანის მოტანა შეუძლია. ყველაზე ხშირი რესპირატორული ვირუსული ინფექციებია, რომელსაც იწვევს ათეულობით სახეობის ვირუსი (გრიპი, რინო, კორონა, ბოკა, პარაგრიპი, ადენო და სხვა). საქართველოში მიმდინარე წლის მე-40 კვირიდან შემდგომი წლის მე-16 კვირამდე ეს ვირუსები ცირკულირებენ და იწვევენ დაავადებებს, უპირატესად ბავშვებში. ამრიგად, თუ ბავშვი წლის განმავლობაში 6-7 ჯერ სიცხიანობს, ეს ითვლება ჩვეულებრივად და არა საგანგაშოდ, საჭიროებს მხოლოდ ექიმის და მშობლის ყურადღებას.

ასევე ვირუსული წარმოშობისაა ბავშვთა ასაკის ინფექციების უმრავლესობაც (წითელა, წითურა, ჩუტყვავილა); ჰერპესვირუსული ინფექციები (მარტივი და გენიტალური ჰერპესი, ინფექციური მონონუკლეოზი); ჰეპატიტები (A-დან G-მდე); პაპილომავირუსული ინფექცია; ვირუსული გასტროენტერიტები (როტავირუსი, ნოროვირუსი).

***— როგორ და რა საშუალებით ვებრძოლოთ ვირუსულ ინფექციებს?***

— სამწუხაროდ, ხშირად ცხელების გახანგრძლივების და ინტოქსიკაციის დროს იყენებენ ანტიბიოტიკებს. თვლიან, რომ მხოლოდ ესენი ებრძვიან ინფექციებს. ვირუსზე ანტიბიოტიკი არ მოქმედებს. პირიქით, ახანგრძლივებს დაავადებას. გრიპის და გაციების დროს არ უნდა მიიღოთ ანტიბიოტიკი! ვირუსული ინფექციების დროს მკურნალობა სიმპტომურია და პრაქტიკამ გვაჩვენა, რომ ეფექტურია არასპეციფიკური ანტივირუსული თერაპია.

***— თქვენს პრაქტიკაში ყველაზე ხშირად რომელი არასპეციფიკური (სხვადასხვა ტიპის ვირუსებზე მოქმედების) ანტივირუსული პრეპარატი გამოგიყენებიათ?***

— ბოლო რამდენიმე წელია, საკმაოდ ხშირად და ეფექტურად ვიყენებთ ინოზინ-პრანობექსს, რომელსაც აქვს ორმაგი მოქმედება: პირდაპირი ანტივირუსული და იმუნომოდულაციური. იგი უკავშირდება ვირუსით დაზიანებულ უჯრედს და აფერხებს მასში ვირუსების გამრავლებას. ასევე ააქტიურებს ადამიანის იმუნურ სისტემას სხვადასხვა რგოლის დონეზე და ასე ანადგურებს ვირუსებს. ხელს უწყობს ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულების გამომუშავებას და შესაბამისად, დროულ გამოჯანმრთელებას ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ინფექციების დროს.

საქართველოში ინოზინ-პრანობექსი შემოდის **გროპრინოსინის** (მწარმოებელი „გედეონ რიხტერი“, უნგრეთი) სახელწოდებით, როგორც საბავშვო სიროფის, ასევე ტაბლეტების სახით. შესაბამისად, **გროპრინოსინი** გამოიყენება ყველა ასაკობრივ ჯგუფში (1 წლის ზემოთ). რაც მთავარია, არ ახასიათებს მიჩვევა და არ ვითარდება მის მიმართ რეზისტენტობა. **გროპრინოსინის** მიღება რეკომენდებული და უსაფრთხოა ცხელების ყველა ეპიზოდის დროს. ხშირად მოავადე და სუსტი იმუნური სისტემის მქონე ადამიანებში **გროპრინოსინის** მიღება მნიშვნელოვნად ამცირებს ავადობის სიხშირეს.

***— რომელი ინფექციების დროს ინიშნება გროპრინოსინი?***

— მწვავე რესპირატორული ვირუსული (გრიპი, პარაგრიპი, რინოვირუსი, ადენოვირუსი) ინფექციები, წითელა, ჰერპესვირუსული ინფექციები (ინფექციური მონონუკლეოზი, მარტივი ჰერპესი სახის, კანის, პირის ღრუს ლორწოვანის, ოფთალმოჰერპესი, ჩუტყვავილა, სარტყლისებრი ლიქენი), ადამიანის პაპილომავირუსი. ინიშნება როგორც ნორმალური, ასევე დაქვეითებული იმუნური სტატუსით პაციენტებში. **გროპრინოსინი** მიიღება შიგნით ჭამის შემდეგ. შესაძლებელია დაღეჭვა ან წყალში გახსნაც. დოზა და ხანგრძლივობა დამოკიდებულია პაციენტის ასაკზე და დაავადების სიმძიმეზე, რომელიც განისაზღვრება ინდივიდუალურად. მწვავე პერიოდში ინიშნება 10-14 დღიანი, ხოლო გახანგრძლივებულ შემთხვევაში 1-6 თვიანი კურსი. **გროპრინოსინი** გამოიყენება როგორც მკურნალობის, ასევე პროფილაქტიკის მიზნით. ოჯახში ან კოლექტივში ვირუსის არსებობის შემთხვევაში, **გროპრინოსინი** დაცვის საუკეთესო საშუალებაა ბავშვებსა და მოზრდილებში. მნიშვნელოვანია მკურნალობის დროული დაწყება (დაავადების 1-2 დღეს) და დანიშნულების სრულყოფილად შესრულება.

**გროპრინოსინი** კარგად გადაიტანება. პრეპარატი არ გამოიყენება 1 წლამდე ასაკში, ორსულებში, ლაქტაციის პერიოდში, შარდკენჭოვანი დაავადების და პოდაგრის მქონე პირებში.




## ნინო ზაუტაშვილი: „საზოგადოებრივი მაუწყებლის პერსონალის შემადგენლობა უნდა გადაიხედოს“

— საზოგადოებრივი მაუწყებლის პერსონალის შემადგენლობა უნდა გადაიხედოს. ამის შესახებ საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორობის კანდიდატმა ნინო ზაუტაშვილმა სამეურვეო საბჭოს წევრებთან შეხვედრაზე იმ კითხვის საპასუხოდ განაცხადა, თუ როგორ აპირებს ის ხალხის „გაცხრილვას“, რაც, სავარაუდოდ, მოუწევს გენერალურ დირექტორად არჩევის შემთხვევაში.



ზაუტაშვილის თქმით, მისთვის ეს საკითხი იქნება ყველაზე დიდი დილემა იმ შემთხვევაში, თუ გენერალური დირექტორობის პასუხისმგებლობა „თავს დაატყდება“.

— მინდა გითხრათ, რომ ეს უნდა გაკეთდეს, ოღონდ ერთი რამ არის გასათვალისწინებელი — როგორ? უნდა გადაიხედოს მთელი სტაფფ-ი, ადამიანები, რომლებიც დღეს მუშაობენ საზოგადოებრივ მაუწყებელში. თუ ადამიანი სამსახურში საერთოდ არ დადის, თუ მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი არის ნულის ტოლი, შენ იმ ადამიანს აძლევ შანსს, გამოავლინოს თავისი შემოქმედებითი უნარები, თუ ეს შემოქმედებითი უნარები ვერ გამოვლინდა და თუ ეს ადამიანი მხოლოდ იმისთვის არის გაფორმებული, რომ ხელფასი აიღოს, ასეთი რამ შეურაცხმყოფელია იმ დანარჩენი ადამიანებისთვის, რომლებიც ძალიან კარგ საქმეებს აკეთებენ ამ არხზე და ქმნიან პროდუქციას, განსაკუთრებით იმ ხალხისთვის, რომელიც კაპიკებზე მუშაობს, მაგალითად, რადიოში, — განაცხადა ნინო ზაუტაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

## ვალერი გელბახიანი: „ხალხს ფულიანი ადამიანების პარლამენტში მოსვლა ძალიან აღიზიანებს“

### „ხელისუფლება საზოგადოებასთან არ ურთიერთობს“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, იურისტ **ვალერი გელბახიანს**.

***– 2016 წელს „ქართულმა ოცნებამ“ ჯერ საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვა პარლამენტში, მოგვიანებით კი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. ხომ არ ელის ამ ხელისუფლებას ხალხის პროტესტი და ქუჩის გამოსვლები?***

– არასტაბილური ეკონომიკის პირობებში გამორიცხული არაფერია, თუმცა თავისით ხალხი ქუჩაში არ გამოდის. გამოსვლების მაორგანიზებელი პოლიტიკური ძალა საქართველოში არ ჩანს. სიტუაციას ქუჩის პროტესტიც ვერ შეცვლის.

***– რას გულისხმობთ?***

– სოციალური პროტესტით ლარის კურსი ვერ გამყარდება. ამის გამო, შეიძლება, მთავრობაც არ შეიცვალოს. ვითარება მძიმეა, მაგრამ, ყველაზე უარესი ის არის, რომ ხელისუფლების მხრიდან არ იგრძნობა წუხილი ამის გამო. ხალხი თანადგომას ვერ გრძნობს. უფრო მეტიც, ადამიანებს ესმით ხელისუფლების წარმომადგენლების გამონათქვამები, რომ ყველაფერი კარგადაა, რომ ინფლაცია არ არის და სხვა.

იმის მაგივრად, რომ შეწუხდნენ, ამბობენ, რომ ყველაფერი ნორმალურადაა. საზოგადოება ასე არ ფიქრობს. უფრო მეტიც – მას ასეთი განცხადებები ისე აღიზიანებს, როგორც ხარს – წითელი ქსოვილი. ძალიან ცუდია, რომ ხელისუფლება არ ურთიერთობს საზოგადოებასთან. ისეთი მდგომარეობაა, რომ მას მთავრობის შეცვლაც ვერ გამოასწორებს.

***– წინ ადგილობრივი არჩევნებია.***



– ადგილობრივი არჩევნებია, მაგრამ ხალხზე ზრუნვა არ ჩანს. ხელისუფლება არ იცავს მოსახლეობის ინტერესებს. გავიხედოთ სხვაგან, გადავავლოთ თვალი, რა ხდება სხვა სახელმწიფოებში. ევროპასა და სხვა ქვეყნებშიც ხალხში პოპულარულია სოციალისტური იდეები. ისინი ეწინააღმდეგება ოლიგარქიულ ინტერესებს.

***– ჩვენთან რა ხდება?***

– ჩვენთან თუ ვინმემ ფული იშოვა, ყველა პარლამენტში მოხვდა. თუ დააკვირდებით, 20 ან თუნდაც 10 წლის წინ ბიზნესმენის გადეპუტატება საკვირველი და უცნაური ამბავი იყო. პარლამენტში უნდა იყვნენ პოლიტიკოსები. დღევანდელ პარლამენტში პოლიტიკოსები თითქმის აღარ არიან. პოლიტიკოსები განდევნეს პოლიტიკიდან. სამაგიეროდ, პარლამენტი სავსეა ფულიანი ხალხით. ყალიბდება მქონებელთა კასტა, რომელიც ხელისუფლებაშია.

ეს აუცილებლად გამოიწვევს უკურეაქციას. ხალხს უკვე ძალიან აღიზიანებს ფულიანი ხალხის პარლამენტში ყოფნა. ადამიანებმა იციან, რომ ასეთი დეპუტატები იცავენ საკუთარ ქონებას და არა – ხალხის ინტერესებს. ეს მდგომარეობა ხელს შეუწყობს სოციალისტური იდეების განვითარებას. კლასობრივი ბრძოლის ნიშნები უკვე იკვეთება. ყველა რევოლუცია ასე იწყებოდა. ასე იყო ევროპაშიც და ამერიკაშიც, სადაც მემამულეებს კარგა ხნის განმავლობაში უპირისპირდებოდნენ.

***– სოციალისტური იდეების პოპულარობა ახსენით. ბოლო დროს ევროპაში ბევრი მიმდევარი გაუჩნდა ნაციონალისტურ იდეებსაც.***

– ნაციონალისტური იდეები ყოველთვის პოპულარული იყო. ჰიტლერის პარტიის მსგავსად, ზოგიერთი პარტია ევროპაში ნაციონალისტურ-სოციალისტური მიმართულებისაა. სამწუხაროა, რომ საქართველოში პოლიტიკური ბალანსის მიღწევის მაგივრად იქმნება ოლიგარქიული სიტუაცია და ფულიანთა კასტა.

***– თუ არაფერი შეიცვალა, კლასობრივ ბრძოლას ვერ ავცდებით?***

– ასეთი საფრთხე არსებობს. ამას ხელი ეწყობა. ხელისუფლებამ კი არ უნდა იძახოს, ყველაფერი კარგადააო, დიალოგი უნდა დაიწყოს ხალხთან. მაგალითისთვის – პრემიერი უნდა შეხვდეს საჩხერის მოსახლეობას და ჰკითხოს, როგორ ჯობია 10 მილიონის დახარჯვა. საზოგადოება თავისას იტყვის და, თუ რაიმე სწორად არ გამოვიდა, მხოლოდ ხელისუფლებას არ დააკისრებს პასუხისმგებლობას. შესამუშავებელია ურთიერთობის ფორმატი.

***– ეს შესაძლებელია?***

– ხალხთან დალაპარაკებაა საჭირო, თორემ ქუმსიშვილის კაბინეტიდან წაკითხული ლექციები არავის სჭირდება. ეს მხოლოდ ზრდის აგრესიას. იმავე ქუმსიშვილს შეუძლია, იყიდოს ტელევიზიაში სარეკლამო დრო, მოიწვიოს არა ხელისუფლება და ოპოზიცია, არამედ ეკონომისტები, სხვა სპეციალისტები და ისაუბროს გამოსავალზე.

ხალხს ჭკუა კი არ უნდა ასწავლონ, არამედ ჭკუა ჰკითხონ, თორემ ძალიან ცუდ დღეში აღმოჩნდებიან. ლარს არაფერი ეშველება არც მტერმოყვრის ძიებით და არც – კაბინეტიდან წაკითხული ლექციებით.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# „სასწრაფოდ დაფარეთ დავალიანება“

## გზავნილები, რომლებსაც ონლაინსაკრედიტო კომპანიები მომხმარებლებს უგზავნიან



– სასწრაფოდ დაფარეთ დავალიანება სრულად, წინააღმდეგ შემთხვევაში გეზრდებათ დავალიანება და გემატებათ სასამართლო აღსრულების ხარჯი. ვადა დასაფარად 3 დღეა. ამის შემდეგ გააფრთხილეთ ოჯახის წევრები – იურიდიულ მისამართზე მოხდება იძულების წესით თანხის ამოღება პირადი ნივთებით.

მსგავსი შინაარსის სმს-ს ონლაინსაკრედიტო კომპანიებისგან იღებს ყველა, ვინც ონლაინსესხს დროულად ვერ დაფარავს.

როგორც წესი, ონლაინსესხები 300-დან 600 ლარამდე მერყეობს, მსესხებელი მის გადახდას არ ჩქარობს და ვალად სოლიდური თანხა უგროვდება. სიტუაციის გამოსწორების მიზნით ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნული ბანკის მიერ შემუშავდა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომლის მიხედვით, საპროცენტო განაკვეთებს მაქსიმალური ზღვარი უნდა დაუწესდეს და ეს ზღვარი წლიური 100%-ია. მთავრობის განმარტებით, ინიციატივის მიზანი კრედიტორთა დაცვაა.

ამ ცვლილებების განმარტებით ბარათში წერია, რომ რიგ შემთხვევებში მიკროსესხების მცირე ზომის გამო მოსახლეობა ვერ აცნობიერებს, თუ რა მაღალ პროცენტად სესხულობს თანხას, რასაც ხშირ შემთხვევებში ადამიანური ტრაგედიაც მოჰყვება.

* * *

საპროცენტო განაკვეთების მიმართ მსგავსი მიდგომა აქვთ დასავლეთში.

მაგალითად: კანადაში კრიმინალურად მიიჩნევენ საპროცენტო განაკვეთს, რომელიც წელიწადში 60%-ზე მეტია, ხოლო დიდ ბრიტანეთში მოკლევადიან სესხებზე ჯამში დასაბრუნებელი თანხა არ უნდა აღემატებოდეს გაცემული თანხის ორმაგ ოდენობას. ავსტრალიაში სამომხმარებლო სესხებზე მაქსიმალური განაკვეთი 48%-იანი ლიმიტით არის განსაზღვრული, ხოლო სინგაპურში საპროცენტო განაკვეთის ზღვარი თვეში 4%-ია.

საქართველოში მსგავსი შეზღუდვის დაწესებას მომხრეებიც ჰყავს და მოწინააღმდეგეებიც, რომლებიც აცხადებენ, რომ მიკროსესხების გამცემი კომპანიები მრავალ ადამიანს ასაქმებენ, ახალი რეგულაცია კი მათ სამუშაო ადგილებს შეამცირებს, შესაძლოა, ზოგიერთი მათგანი გაკოტრდეს, ხოლო ხალხი, რომელიც მათი ფინანსებით სარგებლობს, უფულოდ დარჩეს.

ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი სხვაგვარად ფიქრობს. ადვოკატ ირაკლი უტიაშვილის თქმით, მას ონლაინსესხებით დაზარალებულ მრავალ ადამიანთან ჰქონია შეხება, კარგად იცის მათი პრობლემები და ამ ინიციატივას დადებითად აფასებს.

– მე მაქვს შეხება ხალხთან, რომელსაც ეს კომპანიები შეუსაბამოდ მაღალ თანხებს ედავებიან. ამიტომ, საპროცენტო განაკვეთის ზღვრის დადგენა პოზიტიური და კარგი მოვლენაა, რომელიც ამ ადამიანების მდგომარეობას სერიოზულად შეამსუბუქებს. ვინაიდან სამართლებრივ მხარეებში ბევრი ვერ ერკვევა, 500 ლარის ნაცვლად, დაგვიანების შემთხვევაში შეიძლება 2.000-3.000 ლარის გადახდაც მოსთხოვონ.

მაღალია პირგასამტეხლოც: თუ პირი ვერ აბრუნებს თანხას შეთანხმებულ ვადაში, პირგასამტეხლო 500 ლარზე 1.500-2.000 ლარია. ეს არის არაკეთილსინდისიერება, რომლის წყალობით მოსახლეობაც ღარიბდება და საზოგადოებაც. სამაგიეროდ, ერთეულები მდიდრდებიან.

როგორც ჩანს, ეს საკმაოდ სარფიანი საქმეა, სწორედ ამიტომ, მარტო თბილისში 40 ასეთი კომპანია ოპერირებს. არ შემიძლია არ ვახსენო ზარები და სმს-ები, რომლებსაც ისინი კლიენტებს უგზავნიან, რადგან ეს არის ფსიქოლოგიური ზემოქმედება მსესხებელზე, რომ მან თანხა გადაიხადოს, თუნდაც სხვა სესხი აიღოს, მაგრამ მაინც, – აცხადებს ირაკლი უტიაშვილი.

* * *

როგორც კომპანია „ნეტკრედიტისა“ და „მონეზას“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ზვიად აიწურაძემ „ბიზნესპრესნიუსს“ განუცხადა, ამ ინიციატივას ბევრი ისეთი ნიუანსი ახლავს, რომელიც დაზუსტებას საჭიროებს.

– ჩვენი კომპანია ყველანაირად ეცდება, რომ ეს სიახლე თავის ბიზნესსაქმიანობას მიუსადაგოს. მართალია, გაცილებით დაბალ მარჟებზე მოგვიწევს მუშაობა და ეს ბიზნესისთვის ერთგვარი გამოწვევა იქნება, მაგრამ ახლა მთავარია, ვინ რამდენად სწრაფად და დროულად შეძლებს ადაპტირებას.

ამ ახალ ინიციატივაში ძალიან ბევრი დეტალის დაზუსტებაა საჭირო, რადგან ის ინტერპრეტაციის დიდ მასშტაბებს იძლევა. როდესაც ამბობენ, ონლაინსესხებზე განაკვეთი 600-700%-იაო, წლიურ საპროცენტო განაკვეთს გულისხმობენ, მაგრამ როგორ შეიძლება ამხელა პროცენტი იყოს, როდესაც მომხმარებელი 100 ლარის გადახდაში 119 ლარს გვიხდის? მე სულ ვამტკიცებ, რომ ეს 600-700 პროცენტი ვირტუალური და არარეალური ციფრია, რადგან ჩვენი პროდუქტი არ არის ერთწლიანი, ის ერთთვიანია. ჩვენი კომპანიის შემთხვევაში ასეა და საწინააღმდეგო მოსაზრება რეალობას არ შეესაბამება, – აღნიშნავს ზვიად აიწურაძე.

მისივე თქმით, ონლაინსესხების გამცემ კომპანიებზე შექმნილი წარმოდგენა მცდარია.

– ჩვენ მიერ გაცემული სესხის უკან დაბრუნება გაცილებით რისკიანია, რადგან ის არაუზრუნველყოფილია. თანაც, ჩვენი მომსახურება გაცილებით კომფორტულია: თქვენ შეგიძლიათ სახლიდან გაუსვლელად, ყოველგვარი დროის ხარჯვის გარეშე შეავსოთ განაცხადი და 15-20 წუთში თანხა ანგარიშზე გერიცხებათ. თუ კლიენტს არ სურს, არც ისესხებს.

ძალიან ბევრ ადამიანს სესხის უკან დაბრუნება არ მოსწონს, არადა, თუ ფული არ დამიბრუნეს, მე ვარ დაზარალებული და არა – მსესხებელი. ჩვენს ბიზნესს სწორედ ისეთი ხალხი ლანძღავს, ვინც სესხს არ გვიბრუნებს და ამტკიცებს, რომ ონლაინსესხების გამცემი კომპანიები ბოროტები არიან. რაც შეეხება მათთვის გაგზავნილ სმს-ებს და ზარებს, ეს კანონმდებლობით ნებადართული პროცედურაა, რომელიც მიზნად თანხის ამოღებას ისახავს, – აცხადებს „ნეტკრედიტის“ წარმომადგენელი.

* * *

ონლაინსესხებზე შეზღუდვის დაწესებას დადებითად აფასებს ეკონომიკის ექსპერტი მიხეილ დუნდუა.

– საპროცენტო განაკვეთებზე ზღვრის დაწესება ძალიან კარგი გადაწყვეტილებაა, რადგან მაღალპროცენტიანი სესხების გაცემა მოსახლეობის და მთელი ქვეყნის ფინანსურ დასუსტებას ნიშნავს. სამაგიეროდ, ონლაინკომპანიებს მოგება შეუმცირდებათ, მაგრამ თუ ადრე 1 ლარზე 120 ლარს იგებდნენ, ახლო მომავალში 80 ლარს მოიგებენ და ეს უნდა გვაპატიონ. თანაც, ეს ბიზნესი ბევრ ცივილიზებულ ქვეყანაში დარეგულირებულია.

თუ რომელიღაც სფერო მოსახლეობის ფინანსურ მდგომარეობას აზიანებს, ბუნებრივია, მას რეგულაციები უნდა დაუწესდეს, მით უმეტეს, რომ ეს არ არის გადამწყვეტი სფერო ჩვენი ეკონომიკისთვის: ონლაინსესხების გამცემი ორგანიზაციების რაოდენობა შემცირდება თუ გაიზრდება, ეს ბევრს ვერაფერს შეცვლის, – ამბობს მიხეილ დუნდუა.

მისი თქმით, ჩვენი ეკონომიკა მევახშეობით ვერ განვითარდება, თუ გვსურს, რომ ქვეყანა წელში გაიმართოს, რეალური სექტორი უნდა განვითარდეს.

– ონლაინსესხის მაღალი განაკვეთი ადამიანს ერთი მცდარი ნაბიჯის ნაცვლად რამდენიმე მცდარ ნაბიჯს ადგმევინებს, ამიტომ, რეგულაციები ამ სფეროში აუცილებელია. კარგი იქნება, 100%-ზე დაბალი ზღვარიც დაწესდეს. მევახშეები ყველა საუკუნეში იყვნენ და იქნებიან, მაგრამ არ არის აუცილებელი, ამ ხალხმა ზემოგება მიიღოს, – აცხადებს ეკონომისტი.

**ხათუნა ჩიგოგიძე, ბიპიენი**

# კომერციულ ბანკებში სესხების გალარების პროგრამა 15 იანვრის შემდეგ დაიწყება

კომერციულ ბანკებში სესხების გალარების პროგრამა ჯერ არ დაწყებულა, მიუხედავად მოლოდინისა, რომ გალარება 2017 წლის იანვრიდან იქნებოდა შესაძლებელი.




აღნიშნულთან დაკავშირებით ბიზნესპრესნიუსს მოქალაქეებიც დაუკავშირდნენ, რომლებმაც გვითხრეს, რომ კომერციულ ბანკებს გალარების თხოვნით მიმართეს, თუმცა ბანკებში უთხრეს, რომ პროგრამა ჯერ არ დაწყებულა.

როგორც ბიზნესპრესნიუსს ეროვნულ ბანკში უთხრეს, საბანკო სესხების გალარების პროგრამა სავარაუდოდ 15 იანვრის შემდეგ დაიწყება, როცა პარლამენტის მიერ მიღებული შესაბამისი კანონები ძალაში შევა. თუმცა, ზუსტ თარიღს, თუ როდიდან შეეძლებათ მოქალაქეებს დოლარში აღებული სესხის ლარში გადატანა, ეროვნულ ბანკში ვერ ასახელებენ და აღნიშნავენ, რომ პროგრამის დაწყების ზუსტი თარიღი და კრიტერიუმები უახლოეს მომავალში მთავრობის შესაბამისი განკარგულების მიხედვით განისაზღვრება.

მთავრობის ინიციატივის ერთჯერადი სოციალური აქციის თანახმად, 2015 წლის 1 იანვრამდე უცხოური ვალუტით გაცემული სესხები ლარში გადავა. სესხების გალარება გალარების დღეს არსებული კურსის მინუს 20 პუნქტის (20 თეთრის) ოდენობით მოხდება. ხოლო კურსთაშორის სხვაობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

ამასთან, ეროვნული ბანკის ცნობით, მოქალაქეებს, რომლებიც ჩათვლიან, რომ ერთ რომელიმე ბანკში დოლარში აღებულ სესხს, სხვა ბანკში უკეთესად გაალარებენ, სხვა მათთვის სასურველ ბანკში გალარებაც შეეძლება.

სუბსიდირება 2015 წლის 1 იანვრამდე დოლარში გაცემულ, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ, 100 ათასი ლარის მოცულობის საბანკო სესხებს შეეხება, რომლის ნარჩენი ღირებულებაც 2015 წლის 1 იანვრისთვის არსებული ძირითადი თანხის 90%-ს არ აღემატება.

თუ სესხის მოცულობა 100 ათას ლარზე მეტია, სუბსიდირება მოხდება 100 ათასის ფარგლებში. ანუ თუ სესხის ნარჩენი ღირებულება არის 150 ათასი, მოხდება 100 ათასის სუბსიდირება. დარჩენილი 50 ათასი, მსესხებლის გადაწყვეტილების მიხედვით, ან კვლავ სავალუტო სესხად დარჩება, ან სუბსიდირების გარეშე მოხდება მისი გალარებაც.

**თაია არდოტელი, ბიპიენი**

# ზოგიერთი დასახელების სიგარეტი გაძვირდა

2017 წლის 1 იანვრიდან ზოგიერთი სიგარეტის ფასმა 10-20 თეთრით მოიმატა.

როგორც ბიზნესპრესნიუსს თბილისის რამდენიმე ჯიხურში უთხრეს, იანვრიდან ფასების ცვლილება ჯერ მხოლოდ ზოგიერთი დასახელების სიგარეტს შეეხო.



მაგალითად, 10 თეთრით გაძვირდა „ემემი“ და მისი ფასი 2.50 ლარიდან 2.60 ლარამდე გაიზარდა; 20 თეთრით 2.50 ლარიდან 2.70 ლარამდე გაძვირდა „გალუაზიც“.

ჯიხურებში იმასაც აღნიშნავენ, რომ უახლოეს პერიოდში სიგარეტი კიდევ უფრო გაძვირდება.

მათივე ცნობით, სიგარეტზე ფასის მატება ჯერ კიდევ ახალ წლამდე, დეკემბრიდან დაიწყო და მაშინ ფასები 20-30 თეთრით გაიზარდა. 2016 წლის დეკემბრის ბოლოსთვის 20 თეთრით გაძვირდა „კენტი“ და „ვინსტონი“; „მალბოროს“ ფასმა კი 30 თეთრით მოიმატა.

1 იანვრიდან „საგადასახადო კოდექსში“ შესული ცვლილებებით, 1 კილოფ თამბაქოზე აქციზური გადასახადი 60 თეთრით გაიზარდა. ექსპერტთა პროგნოზით, აქციზის გაძვირება სიგარეტის ფასის 50-60 თეთრით გაზრდას გამოიწვევს.

**ბიპიენი**

# ლარი ისევ გაუფასურდა

5 იანვრის ვაჭრობის შედეგად აშშ დოლარი გამყარდა და 2.7303 ლარი შეადგინა. კურსი, რომელიც გუშინ მოქმედებდა, 2.6692 ლარი იყო. შესაბამისად, დოლარის ცვლილებამ ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში 6.11 თეთრი შეადგინა.

ლარი ევროსთანაც გაუფასურდა. ხვალ 1 ევრო 2.8649 ლარი ეღირება. გუშინ მოქმედი კურსი 2.7858 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ევროს ცვლილებამ 7.91 თეთრი შეადგინა.

# ტრამპის კომპანია საქართველოში „ტრამპ თაუერის“ პროექტიდან გავიდა

აშშ-ის ახლადარჩეული პრეზიდენტის დონალდ ტრამპის კუთვნილმა კომპანიამ საქართველოში განსახორციელებელ პროექტ „ტრამპ თაუერის“ მშენებლობაში მონაწილეობაზე უარი თქვა.

გამოცემა „ბლუმბერგის“ ინფორმაციით, ტრამპის კომპანიამ და მისმა პარტნიორმა საქართველოში „სილქ როუდ ჯგუფმა“ ელექტრონული ფოსტით ერთობლივი განცხადება გაავრცელეს, სადაც ნათქვამია, რომ მხარეებმა ბათუმში „ტრამპ თაუერის“ პროექტის ოფიციალურად დასრულების გადაწყვეტილება მიიღეს.




ბათუმში 47-სართულიანი კომპლექსის „ტრამპ თაუერის“ მშენებლობის იდეა 2010 წელს, ნიუ იორკში „სილქ როუდ ჯგუფის“ ნიუ იორკის ოფისის და ტრამპის ორგანიზაციის წარმომადგენლების შეხვედრის შემდეგ გაჩნდა.

„ტრამპ თაუერის“ მშენებლობის ლიცენზია „სილქ როუდ ჯგუფს“ 2011 წლის მარტში, ნიუ იორკში, სალიცენზიო ხელშეკრულების საზეიმო ხელმოწერის შემდეგ გადაეცა.

„ტრამპ თაუერს“ ბათუმის მშენებლობის განხორციელება „ბათუმი-რივიერას“ ტერიტორიაზე გადაწყდა. 2012 წლის აპრილში დონალდ ტრამპი ბათუმში პროექტის პრეზენტაციას თავად დაესწრო. პროექტის ღირებულება 250 მილიონი დოლარი იყო.

გასული წლის დეკემბერში ტრამპის კომპანიამ აზერბაიჯანსა და ბრაზილიაში სასტუმროსთვის ლიცენზიის გაცემის გარიგება გააუქმა.

# ავერსი გილოცავთ შობა-ახალ წელს

გთავაზობთ
10 დეკემბრიდან 31 იანვრამდე
**10%-35% ფასდაკლებას**
ავერსის ექსკლუზიურ ბრენდებზე




ავერსი AVERSI

გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს!

www.aversi.ge

☎ 2-900-800

# ინგლისს ევროკავშირში ახალი ელჩი ეყოლება



ბრიტანეთს ევროკავშირში ახალი ელჩი ეყოლება. ეს პოსტი დაიკავა ტიმ ბეროუმ, რომელმაც როჯერსი შეცვალა.

ბეროუს ბრექსიტთან დაკავშირებით ევროკავშირთან მოლაპარაკებების გამართვა დაევალება.

— პირადად მე ბრექსიტის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ, რადგან ჩემმა ხალხმა სხვაგვარად გადაწყვიტა, მის ნებას პატივს ვცემ, — თქვა ბეროუმ.

# დაპატიმრებულია ბერლინის ტერაქტის კიდევ ერთი მონაწილე



გერმანიის პოლიციამ ბერლინის ტერაქტის კიდევ ერთი თანამონაწილე დააპატიმრა. მისი გვარი ჯერჯერობით არ ხმაურდება. პრესისათვის ითქვა მხოლოდ ის, რომ დაკავებული 26 წლისაა და ტუნისის მოქალაქეა.

ის უშუალოდ იცნობდა ტერორისტ ამრის, რომელმაც ბერლინის ტერაქტი მოაწყო და, როგორც ჩანს, მასთან ერთად ტერაქტის მომზადებაში მონაწილეობდა.

# დონბასი: ეუთო კონტროლის ზონებს აფართოებს



ეუთოს თავმჯდომარე სებასტიან კურცი (ავსტრია) დონბასს ეწვია.

ბრიფინგზე, რომელსაც უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი კლიმკინიც დაესწრო, მან განაცხადა, რომ ეუთოს მისია დონბასში გრძელდება.

— ეუთოს კონტროლის ზონები გაფართოვდება, — თქვა კურცმა.

დონბასში კი შეტაკებები გრძელდება.

# ტრამპის ინაუგურაციას მისი კონკურენტებიც დაესწრებიან

ახლოვდება 20 იანვარი, როცა დონალდ ტრამპის ინაუგურაცია შედგება. ამის შემდეგ ის აშშ-ის პრეზიდენტის მოვალეობას ოფიციალურად შეუდგება.

ტრამპი აშშ-ის პირველი პრეზიდენტია, რომელიც დიდ პოლიტიკაში ბიზნესიდან მოვიდა. მანამდე მას არც პოლიტიკურ, არც სახელმწიფო სტრუქტურებში არავითარი თანამდებობა არ ეკავა.

მის ინაუგურაციას დაესწრებიან ისინი, ვინც საარჩევნო კამპანიისას ტრამპს უპირისპირდებოდა. უწინარეს ყოვლისა, ესენი არიან ტრამპის უმთავრესი კონკურენტი ჰილარი კლინტონი და მისი მეუღლე ბილ კლინტონი. ინაუგურაციაზე ჯორჯ ბუშ უმცროსიც მიიწვიეს, რომელმაც საარჩევნო კამპანიისას ტრამპს შემდეგი შეფასება მისცა:

— ის ისევეა მზად პრეზიდენტობისთვის, როგორც მე მშობიარობისთვის.



ინაუგურაციაზე ბუშის მამა ჯორჯ ბუშ უფროსიც მიიწვიეს, თუმცა ის ავადმყოფობის გამო ინაუგურაციას ვერ დაესწრება. მოწვეულნი არიან ის პოლიტიკოსებიც, რომლებიც საარჩევნო კამპანიისას ტრამპს ლანძღავდნენ და ჰილარი კლინტონს უჭერდნენ მხარს.

— არჩევნები დამთავრდა! ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ამერიკელები ვართ და ჩვენი ქვეყნის შემდგომი აყვავებისთვის ერთად უნდა ვიზრუნოთ, — თქვა ტრამპმა.

ჰილარი კლინტონმა, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ ტრამპს წარმატებას უსურვებს.

— თუკი ტრამპს ხელი მოეცარა, ეს ამერიკაზე ცუდად აისახება, რაც არ მინდა, — თქვა ჰილარიმ.

# მოლდოვის პრეზიდენტი დნესტრისპირეთის ლიდერს შეხვდა

მოლდოვის პრეზიდენტი დოდონი არაღიარებული დნესტრისპირეთის რესპუბლიკის ლიდერ კრასნოსელსკის შეხვდა.

სეპარატისტების ლიდერი არ დათანხმდა დოდონის მიპატიჟებას და კიშინიოვში არ ჩავიდა. დოდონიც მას ეახლა ქალაქ ბენდერიში, რომელიც სეპარატისტების კონტროლქვეშ იმყოფება.

შეხვედრის შემდეგ დოდონმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ საუბარმა მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. გამოიკვეთა საკითხები, რომელთა გარშემოც კომპრომისის მიღწევა შეიძლება.



— ჩვენ მზად ვართ, დნესტრისპირეთს ერთიანი მოლდოვის შემადგენლობაში განსაკუთრებული სტატუსი მივანიჭოთ, — თქვა დოდონმა.

კრასნოსელკიმ, თავის მხრივ, თქვა, რომ არ არის გამორიცხული, ერთიანი მოლდოვის შემადგენლობაში განსაკუთრებულ სტატუსს დათანხმდეს, ოღონდ ერთი პირობით: უნდა იყოს სახელმწიფოებს შორის კავშირი, ანუ დნესტრისპირეთის რესპუბლიკას უნდა ჰყავდეს წარმომადგენლობა გაეროში და ა.შ.

— ეს, ფაქტობრივად, კონფედერაცია კი არა, ჩვენი დამოუკიდებლობის აღიარებაა, — თვლის კრასნოსელსკი.

# საბერძნეთში ტერორისტი ქალი დააკავეს

საბერძნეთის პოლიციამ დააკავა პანაიოსტა რულა, რომელიც ქმართან ერთად ანარქისტების ტერორისტულ დაჯგუფებას მეთაურობდა.

სწორედ რულა ხელმძღვანელობდა თავდასხმას ამერიკის საელჩოზე.

— აშშ თანამედროვე რეაქციის ციტადელია და ჩვენ მის წინააღმდეგ ვიბრძვით, — განაცხადა დაკითხვაზე რულამ.

ტერორისტმა ვლადიმერ პუტინისადმი სიმპათიებიც არ დამალა.



— პუტინი და საერთოდ რუსეთი ახალი მსოფლიო წესრიგის არქიტექტორები არიან. მე პუტინით აღფრთოვანებული ვარ და ვთვლი, რომ ჩვენთანაც ისეთივე წყობილება უნდა დამყარდეს, როგორიც რუსეთშია, — თქვა რულამ.

# პოლ რაიანმა პოსტი შეინარჩუნა

აშშ-ის კონგრესის სპიკერმა პოლ რაიანმა თანამდებობა შეინარჩუნა. მას მხარი 230-მა კონგრესმენმა დაუჭირა. ამის შემდეგ რაიანი ახლადარჩეულ პრეზიდენტ დონალდ ტრამპს შეხვდა და სრული მხარდაჭერა გამოუცხადა.

— ჩვენ აშშ-ის ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე ერთად უნდა ვიდგეთ, — თქვა რაიანმა.



ამავე დროს, წარმომადგენლობითი პალატის სპიკერმა აღნიშნა, რომ რუსეთის მიმართ სანქციები უნდა გამკაცრდეს, ყველაფერი გაკეთდეს საიმისოდ, რომ მოსკოვი აბსოლუტურ იზოლაციაში მოექცეს.

— ყოვლად დაუშვებელია იმ არათანმიმდევრული და გაუბედავი პოლიტიკის გაგრძელება, რომელსაც რუსეთის მიმართ ბარაქ ობამა ატარებდა, — თქვა რაიანმა.

# თურქეთი ასადის წინააღმდეგ

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩავუშოღლუმ შეშფოთება გამოთქვა სირიაში შეტაკებების განახლების გამო.

მისი აზრით, შექმნილი მდგომარეობა მთელი რეგიონის უსაფრთხოებას ემუქრება.

— თუკი ასე გაგრძელდა, ასტანაში დანიშნული შეხვედრა ჩაიშლება, — თქვა ჩავუშოღლუმ.



თურქმა მინისტრმა სამშვიდობო პროცესის ჩაშლის გამო მთელი პასუხისმგებლობა სირიის დიქტატორ ასადსა და ჰესბოლას ფორმირებებს დააკისრა.

— ასადი დღეს მთავარი მადესტაბილიზებელი ფაქტორია, — თქვა ჩავუშოღლუმ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

**მომსახურება**

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 260 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

**მკურნალობა**

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა — შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით — იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) — მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან — შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ფაჩულია და შენგელია იგებენ

## საკალათბურთო ლეგიონის ამბები



გოლდენ სტეიტმა მორიგი გამარჯვება მიითვალა, ხოლო ზაზა ფაჩულიამ კიდევ ერთი წარმატებული მატჩი ჩაატარა. 2017 წელს ოკლენდელებმა უკვე მეორე მატჩი მოიგეს და ქართველი ცენტრი ორჯერვე ასცდა 10-ქულიან ზღვარს. გეხსომებათ, ფაჩულიამ დენვერთან 11 ქულა და 9 მოხსნა მიითვალა, პორტლენდთან 125:117 მოგებულ შეხვედრაში კი ზაზამ 13 ქულა, 3 მოხსნა და 3 დაფარება მოაგროვა.

მესამე პერიოდის დასრულებამდე 5:26 წუთით ადრე ფაჩულია მოედნიდან რომ გავიდა, თამაშში აღარ დაბრუნებულა. ქართველ ცენტრს, რომელიც ძირითადი ხუთეულის წევრია, დიდხანს არ ათამაშებენ, თორემ ის გაცილებით შედეგიანი იქნებოდა. პორტლენდთანაც ზაზას 19 წუთი დასჭირდა 13 ქულის მოსაგროვებლად.

ზაზა საკმაოდ მაღალი პროცენტულობით ესროდა: 7-დან 5 ორქულიანი და 3-დან 3 საჯარიმო ჩააგდო. 13 ქულას, 3 მოხსნასა და 3 დაფარებას ზაზამ თითო ჩაჭრა-პასი მოაყოლა.

საუკეთესო შედეგი სტეფ კარიმ დააფიქსირა, რომელმაც 35 ქულა მიითვალა. 30 ქულით დაასრულა შეხვედრა დიურანტმა.

31 მოგებითა და 5 მარცხით გოლდენ სტეიტი განაგრძობს ნბა-ს ლიდერობას. შემდეგი დაპირისპირება ოკლენდელებს ისევ შინ, დასავლეთ კონფერენციის ერთ-ერთ შეუპოვარ გუნდ მემფისთან ელით.

თორნიკე შენგელიამ და მისმა ბასკონიამ 2017 წელი საამაყო გამარჯვებით დაიწყეს. ესპანეთის ჩემპიონატის მატჩში ვიტორიელებმა მადრიდის რეალს უმასპინძლეს და საკმაოდ იოლად – 77:62 იმარჯვეს.

ქართველი კალათბურთელი სასტარტო ხუთეულში იყო და 17 წუთში 7 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი და 1 დაფარება მიითვალა. შენგელიამ 5-დან 3 ორქულიანი და 1 საჯარიმო ჩააგდო.

9 მოგებითა და 5 წაგებით ვიტორიელები ცხრილში მე-5 ადგილზე არიან. მომდევნო მატჩს ბასკონია მადრიდში, ფუენლაბრადასთან ჩაატარებს

# ხელბურთელთა ნაკრები ლუქსემბურგთან დამარცხდა




**საქართველო:** თევზაძე, ტორონჯაძე; ჩიქოვანი (8 ბურთი), ორჯონიკიძე (6), კბილაშვილი (3), წითელიშვილი (2), ჭანტურია (2), დიხამინჯია (2), რუსტამოვი (1), გრიშიკაშვილი, აბრამიშვილი, სიმონია, მიქავა;

**ლუქსემბურგი**: მორეირა, ოჟე, პავლოვიჩი; მიულერი (7), ვირცი (6), კოლი (6), ი.ჰოფმანი (5), სხოლტენი (5), ბოკი (2), ჯ.ჰოფმანი, შრიოდერი, მარზადორი;

ხელბურთის ეროვნულმა ნაკრებმა ევრო 2020-ის შესარჩევი მატჩი ლუქსემბურგთან ახალ სპორტის სასახლეში 24:31 წააგო. 7 იანვარს უკვე მეტოქის მოედანზე ვთამაშობთ. თუმცა, ლუქსემბურგი მეორე ეტაპზე გასასვლელად ბრძოლას იტალიასთან განაგრძობს, საქართველოს კი მთავარ შესარჩევ რაუნდში მოსახვედრად მეორე შანსი ივნისში ჩელენჯ ტროფიზე მიეცემა.

ლუქსემბურგთან ორი მძიმე მატჩი გვქონდა 2015 წელს (17:16, 20:29) და ვიცოდით, რომ იოლად დასამარცხებელი მეტოქე არ გვყავდა. მათ აქტიური დაცვა (3-2-1) შემოგვთავაზეს, მაგრამ პირველ ტაიმში ამას გავუმკლავდით.

ლუქსემბურგი მე-16 წუთზე 9:6 დაწინაურდა, მაგრამ ბექა ორჯონიკიძის ტაიმაუტის შემდეგ ერთბაშად 4 გოლი გავიტანეთ, ხოლო ტაიმის ბოლოს 12:10 ვლიდერობდით და მეტითაც შეგვეძლო დაწინაურება, მაგრამ ერთი ბურთით მოვიგეთ – 12:11.

მაგრამ მეორე ნახევრისთვის ლუქსემბურგელთა მწვრთნელებს შემონახული ჰყავდათ იან ჰოფმანი, რომელმაც ორი წლის წინ, მეორე მატჩში 7 გოლი გაგვიტანა, შესვენების შემდეგ კი თითქმის მიყოლებით შეაგდო 5 გოლი. მეტოქის აქტიურმა დაცვამ მაქსიმალურად გაანეიტრალა ჩვენი უკანახაზელების უპირატესობა სიმაღლეში და თან უამრავი საკუთარი შეცდომა დაგვაშვებინა (18 დაკარგული ბურთი მატჩში), ხოლო როდესაც სხოლტენის ორი ფასტბრეიკის შემდეგ ანგარიში 25:19 გახდა, გამარჯვებულის ვინაობაც გაირკვა.

საბოლოოდ, მეორე ტაიმი 12:20 წავაგეთ, ლუქსემბურგი კი მეორე ეტაპზე ბრძოლას აგრძელებს. გადამწყვეტი 11 და 15 იანვრის ორი მატჩი იქნება იტალიასთან.

ბრძოლას გააგრძელებს საქართველოს ნაკრებიც, ოღონდ, 2017 წლის ივნისში, როდესაც გაიმართება ჩელენჯ ტროფი, სადაც გათამაშდება ევრო-2020-ის მთავარი შესარჩევი ეტაპის ბოლო საგზური.

ამ ტურნირზე მოთამაშეთა ასაკი 25 წლით იქნება შეზღუდული. სწორედ ამის გამო, იტალიასთან მარცხის შემდეგ ნაკრების გაახალგაზრდავება დაიწყო. ლუქსემბურგთან მატჩში იყო მომენტები, როდესაც მოედანზე 18-20 წლის ერთბაშად 4-5 ხელბურთელი იყო.

# 17 წლამდე ნაკრებს გიორგი ნემსაძე გაწვრთნის



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე“ 17 წლამდე ნაკრების შეკრება დაიწყო. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ალექსანდრე იაშვილმა ფეხბურთელებს ახალი მთავარი მწვრთნელი წარუდგინა – ამიერიდან 17 წლამდე ნაკრებს საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტანი, გიორგი ნემსაძე უხელმძღვანელებს, მისი თანაშემწე კი გიორგი ხიზანიშვილი იქნება.

თავად ალექსანდრე იაშვილი, რომელიც ეროვნულ ნაკრებს კურატორობდა, ამიერიდან ასაკობრივ ნაკრებებსაც უხელმძღვანელებს.

ამჟამად გიორგი ნემსაძის ხელმძღვანელობით 30 ფეხბურთელი ვარჯიშობს:

**მეკარეები**: აკაკი თვალოძე (დინამო თბ), ლუკა ხარშილაძე (ლოკომოტივი), მამუკა ბახტაძე (საბურთალო);

**მცველები**: სანდრო მელიქიშვილი, ცოტნე კაპანაძე, ბექა ხარაიშვილი, (ყველა საბურთალო), ირაკლი წაქაძე (ტორპედო), ზურაბ ბაქრაძე (ლოკომოტივი), ივა გელაშვილი (სპარტა, ჩეხეთი), ირაკლი აზაროვი, აკაკი წაქაძე (ორივე დინამო თბ), გიორგი აბზიანიძე (სფფ აკადემია);

**ნახევარმცველები**: ლუკა ჩაკვეტაძე, შალვა მალალდაძე, ვახტანგ ჩარკვიანი, ანზორ მექვაბიშვილი, ზურა დავითაშვილი, გიორგი ლომთაძე, ჯინო თუდები, ხვიჩა კვარაცხელია (ყველა დინამო თბ), ცოტნე ჩოთალიშვილი, ბექა აშორდია (სფფ აკადემია), დავით ლორთქიფანიძე (ატალანტა, იტალია), საბა ჯინჭარაძე (შუქურა), ოთარ ფარულავა (ავაზა), ედიშერ უგრეხელიძე (ესენი, გერმანია);

**თავდამსხმელები**: გიორგი გულიაშვილი (სფფ აკადემია), გიორგი იაკობიძე, ელგუჯა ჯანგველაძე (ორივე დინამო თბ), ნიკა ქუთათელაძე (პსჟ, საფრანგეთი).

# ვერატი ბაიერნსა და ინტერსაც მოუნდა. სრნა ბარსელონას უახლოვდება



პსჟ-ს ნახევარმცველ მარკო ვერატისადმი მადრიდის რეალისა და ტურინის იუვენტუსის ინტერესის შესახებ ვწერდით, მაგრამ, როგორც ირკვევა, იტალიელი ფეხბურთელით მიუნხენის ბაიერნი და მილანის ინტერიც არიან დაინტერესებული.

ბავარიელთა ინტერესის შესახებ იტალიელი სპეციალისტის კარლო ანჩელოტის რეკორდმაისტერში მოსვლისთანავე ბევრი დაიწერა. იტალიელი მწვრთნელ-ფეხბურთელი ერთად თანამშრომლობდნენ პარიზულ კლუბში, თუმცა შემდეგ დროებით შეწყდა და როგორც ჩანს, ისევ განახლდა.

ერთია, იტალიელი ვარსკვლავის გადმობირებაში როგორც ბაიერნი, ასევე იტალიური კლუბი ინტერია დაინტერესებული. მარკოს გერმანიაში გადმოსვლის მომხრეა ბაიერნის ოფიციალური პარტნიორი და სპონსორი, გერმანული კლუბის აქციების მფლობელი „ადიდასი“.

გერმანული მედიის ცნობით, მარკო ვერატისთან დაკავშირებით ბაიერნსა და ინტერს შორის ისეთივე დუელი მიმდინარეობს, როგორც „ადიდასსა“ და „ნაიკს“ შორის. გეტყვით იმასაც, რომ „ნაიკი“ 1998 წლიდან ინტერის სატიტულო სპონსორია.

ინტერის სპორტული დირექტორი პიერო აუზილიო უკვე ესაუბრა მარკოს აგენტ დონატო დიკამპის, რომელმაც ნერაძურის მიმართ მადლიერება გამოხატა, თუმცა ის აღიარებს, რომ მარკოს ჩემპიონთა ლიგაზე თამაში სურს.

თუ ინტერი სეზონს სერია ა-ში ცხრილის სათავეში დაასრულებს და ჩემპიონთა ლიგაზე ექნება გამოსვლის საშუალება, დიდი ალბათობით იტალიელები მარკოს გაიფორმებენ, ბაიერნი კი ანჩელოტის მეთაურობით უკანა პლანზე გადაიწევს.

დონეცკის შახტარის მცველი დარიო სრნა კი მზადაა, ბარსელონას ფეხბურთელი გახდეს და დაეთანხმოს დაბალ ხელფასს იმ პირობით, თუ ის შემდეგი სეზონიდან მეტს მიიღებს.

ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ 34 წლის ფეხბურთელი კონტრაქტის არასასურველი პირობების გამო ბარსელონაში გადასვლა ეეჭვებოდა. კატალონიურ კლუბს კი შეთავაზების გაუმჯობესება შეუძლია, თუ ალეშ ვიდალის გაყიდვას შეძლებს.

# ოთარ კაკაბაძე დანიაში იჯარით ითამაშებს

საქართველოს ნაკრების მცველი ოთარ კაკაბაძე ესპანური ხიმნასტიკიდან დანიის სუპერლიგის გუნდ ესბიერგში გადავიდა.

21 წლის მცველი დანიურ კლუბში იჯარის წესით 6 თვეს გაატარებს, რის შემდეგაც კვლავ ესპანურ კლუბს დაუბრუნდება.



როგორც თავად ფეხბურთელი აცხადებს, დანიურ სუპერლიგაში თამაში მას პრაქტიკისთვის სჭირდება, რადგან ხიმნასტიკში არცთუ ბევრი დრო ეთმობოდა მოედანზე. სათამაშო პრაქტიკა კი სანაკრებოდ უნდა წაადგეს.

**ოთარ კაკაბაძე:**

– მიხარია, რომ კლუბებს შორის შეთანხმება შედგა ჩემს ტრანსფერზე. მოუთმენლად ველი, როდის შევუერთდები ახალ კლუბს. სილკერბოგის ფორვარდ დავით სხირტლაძესთან საუბრის შემდეგ მივიღე ეს გადაწყვეტილება. სწორედ მან მირჩია დანიის სუპერლიგაში თამაში. დანიის სუპერლიგა მაღალი დონისაა და აქ თამაში ეროვნულ ნაკრებში ადგილის შენარჩუნებაში დამეხმარება.

# შოთა არველაძემ მაქაბი დატოვა



ქართველი სპეციალისტი შოთა არველაძე თელ-ავივის მაქაბს აღარ გაწვრთნის. შოთასთვის წარუმატებელი გამოდგა ებრაულ კლუბში მუშაობა და გუნდის ხელმძღვანელობამ თანამდებობიდან გაათავისუფლა.

მაქაბიმ და შოთა არველაძემ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეწყვიტეს თანამშრომლობა.

**ხორდი კრუიფი, მაქაბის სპორტული დირექტორი:**

– კლუბი მადლობას უხდის არველაძეს შრომისთვის. ხანდახან ისე არ ეწყობა საქმე, როგორც გეგმავ. ეს შესაძლოა, იყოს ჩემი, ფეხბურთელების ან მწვრთნელის შეცდომა. ასეთ სიტუაციაში სჯობს თანამშრომლობის შეწყვეტა. შოთას წარმატებებს ვუსურვებ.

**შოთა არველაძე:**

– კლუბის პერსონალს, ფეხბურთელებს, გულშემატკივარს მადლობას ვუხდი იმ დროისთვის, რომელიც აქ გავატარე. ეს კლუბი და ეს ხალხი ყოველთვის ჩემს გულში იქნება.

არველაძემ მაქაბი შარშან ზაფხულს ჩაიბარა. გუნდი მისი ხელმძღვანელობით გუნდი ევროპალიგის ჯგუფურ ეტაპზე ჩარჩა, თასის გათამაშებასაც გამოეთიშა, ჩემპიონატში კი 16 ტურის შემდეგ ლიდერ აპოელს 8 ქულით ჩამორჩება.

# შედეგები

**4 იანვარი**

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩი**

ტუნისი-უგანდა ........ 2:0

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ტოტენჰემი-ჩელსი ........ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 20 | 16 | 1 | 3 | 42-15 | 49 |
| 2.ლივერპული | 20 | 13 | 5 | 2 | 48-23 | 44 |
| 3.ტოტენჰემი | 20 | 12 | 6 | 2 | 39-14 | 42 |
| 4.სიტი | 20 | 13 | 3 | 4 | 41-22 | 42 |
| 5.არსენალი | 20 | 12 | 5 | 3 | 44-22 | 41 |
| 6.მანჩესტერი | 20 | 11 | 6 | 3 | 31-19 | 39 |
| 7.ევერტონი | 20 | 8 | 6 | 6 | 28-23 | 30 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 20 | 8 | 5 | 7 | 28-24 | 29 |
| 9.ბორნმუთი | 20 | 7 | 4 | 9 | 29-34 | 25 |
| 10.საუთჰემპტონი | 20 | 6 | 6 | 8 | 19-25 | 24 |
| 11.სტოკი | 20 | 6 | 6 | 8 | 24-32 | 24 |
| 12.ბარნლი | 20 | 7 | 2 | 11 | 22-31 | 23 |
| 13.ვესტ ჰემი | 20 | 6 | 4 | 10 | 23-35 | 22 |
| 14.უოტფორდი | 20 | 6 | 4 | 10 | 23-36 | 22 |
| 15.ლესტერი | 20 | 5 | 6 | 9 | 24-31 | 21 |
| 16.მიდლსბრო | 20 | 4 | 7 | 9 | 17-22 | 19 |
| 17.კრ.პალასი | 20 | 4 | 4 | 12 | 30-37 | 16 |
| 18.სანდერლენდი | 20 | 4 | 3 | 13 | 19-37 | 15 |
| 19.სუონსი | 20 | 4 | 3 | 13 | 23-45 | 15 |
| 20.ჰალი | 20 | 3 | 4 | 13 | 17-44 | 13 |

**ესპანეთი. სამეფო თასი**

ალკორკონი-კორდობა ........ 0:0
სოსიედადი-ვილიარეალი ........ 3:1
რეალი-სევილია ........ 3:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

კერკირა-ატრომიტოსი ........ 1:1
აეკი-პანეთოლიკოსი ........ 0:0
ლარისა-ვერია ........ 2:1
ოლიმპიაკოსი-ასტერასი ........ 2:1

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის განმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# რა იწვევს უნაყოფობას მამაკაცებში

ეკა ირემაშვილი

თუ წყვილის ხშირი, დაუცველი სქესობრივი კავშირების შედეგად ერთი წლის ან მეტის განმავლობაში არ მოხდა ჩასახვა, ამ წყვილების დაახლოებით ნახევარში მიზეზი მამაკაცის უშვილობაა. უნაყოფობა მამაკაცებში გამოწვეულია სპერმის დაბალი კონცენტრაციებით, სპერმის დისფუნქციით ან სპერმის გზის ბლოკადით, რაც ხელს უშლის მის გადაადგილებას. ავადმყოფობა, დაზიანება, ჯანმრთელობის პრობლემა, ცხოვრების სტილი, სტრესი, გადაღლა და კიდევ უამრავი ფაქტორია გასათვალისწინებელი უშვილობის დროს.

როდის უნდა მიმართონ მამაკაცებმა ექიმს და რამ შეიძლება გამოიწვიოს უნაყოფობა, ამ თემებზე ახალ თაობას ექიმი-სექსოლოგი თემურ მეგრელიშვილი ესაუბრა.

**თემურ მეგრელიშვილი:**

– წყვილის უნაყოფობა არის მდგომარეობა, როცა ისინი ცხოვრობენ სრულფასოვანი რეგულარული სექსუალური ცხოვრებით ერთი წლის განმავლობაში, არ მიმართავენ ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებს და არ დგება ორსულობა. ამ დროს უკვე ექიმთან ვიზიტია საჭირო. შეიძლება, ამას ვუწოდოთ უნაყოფობა.

***– ადრე უშვილობა ქალს ბრალდებოდა. ახლაც ასეა?***

– ახლა დაახლოებით 50-50-ზეა. ერთი წლის შემდეგ იწყება კვლევა. პირველ რიგში, უნდა გაკეთდეს სპერმის ანალიზი, რათა გამოირიცხოს მამაკაცის უშვილობის ფაქტორები.

***– რამ შეიძლება, მამაკაცის უნაყოფობა გამოიწვიოს?***

– მამაკაცის უშვილობის სამი ძირითადი მიზეზი არსებობს: როცა თვითონ სპერმატოზოიდები არასრულფასოვანია, მათი რაოდენობაა დაქვეითებული, ან სპერმატოზოიდებიც ნორმალურია, რაოდენობაც, მაგრამ გამომყოფ გზებზეა პრობლემა სპერმის გამომტან სადინარებში.



***– რა შეიძლება გახდეს ამის მიზეზი?***

– ამის მიზეზი შეიძლება იყოს საკმაოდ ბევრი. 15 პროცენტში შეიძლება იყოს ვარიკოცელე. ეს არის მდგომარეობა, როცა გაფართოებულია სათესლე ჯირკვლებისა და სათესლე ბაკირაკის ვენები. ვარიკოცელეს დროს თერმორეგულაცია ირღვევა სათესლე ჯირკვლებში და მისი ფუნქციაც იცვლება. მეორე მიზეზია ტრავმები და სასქესო ორგანოების დეფექტები. მიზეზია ინფექციური დაავადებებიც, როგორც სქესობრივი გზით გადამდები, ასევე სხვა, მაგალითად, ყბაყურის ორქიტით გართულებული ფორმა. ეს არის სათესლე ჯირკვლების ანთება.

უშვილობა არ იწვევს სექსუალურ დისფუნქციას, თუმცა სექსუალურმა დარღვევებმა შეიძლება გამოიწვიოს უშვილობა, თუ მამაკაცს ერექცია არასათანადოდ უვითარდება ან ეაკულაცია ნაადრევია, ან, პირიქით, საერთოდ ვერ დგება, ბუნებრივია, ვერ მოხდება სპერმის დანთხევა იქ, სადაც საჭიროა.

იმუნოლოგიური ფაქტორებიც საყურადღებოა, როცა ორგანიზმი გამოიმუშავებს ანტისხეულებს საკუთარი სპერმატოზოიდების მიმართ.

ჰორმონალური დარღვევები, კერძოდ, ტესტოსტერონის ნაკლებობა და აგრეთვე წამლები, ასევე თამბაქო, ალკოჰოლი, ნარკოტიკები, ცუდი ეკოლოგია, რადიაცია, პესტიციდები, ცე ვიტამინის ნაკლებობა, გადაძაბვა, გადაჭარბებული ფიზიკური დატვირთვა, საუნაში არსებული მაღალი ტემპერატურა, გაგიკვირდებათ და მჭიდრო ტანსაცმელმაც კი შეიძლება, უარყოფითად იმოქმედოს.

***– ამბობენ, კომპიუტერისა და მობილური ტელეფონების დასხივება იწვევს უნაყოფობასო. ეს მითია თუ რეალობა?***

– ელექტრომაგნიტური ველი, რა თქმა უნდა, დადებითად არ მოქმედებს ადამიანზე, მაგრამ თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებების, როგორიც არის კომპიუტერი და მობილური ტელეფონი, გამოსხივება იმდენად მცირეა, რომ არცერთი კვლევებით დადასტურებული არ არის მათი საზიანო მოქმედება.

***– ასაკი შეიძლება გახდეს მამაკაცის უნაყოფობის მიზეზი?***

– მამაკაცების ასაკთან დაკავშირებით ჩატარდა სხვადასხვა კვლევა და მოსაზრებებიც გაიყო. არსებობს კვლევები, სადაც ამტკიცებენ, რომ ასაკოვან მამაკაცებს შვილები უფრო ხშირად უჩნდებათ სხვადასხვა დაავადებით. ბევრს საუბრობენ ასაკთან დაკავშირებით, მაგრამ, გარწმუნებთ, 30 წელი არ არის დაბერება, 60 წელი უკვე დაბერებაა. რაც უფრო გვიან ქორწინდება ადამიანი, მით უფრო არასახარბიელოა. ამაზე გამოთქმაც არსებობს, შვილი ობლობისთვის არის განწირულიო.

***– გენეტიკა რა როლს თამაშობს უნაყოფობის დროს?***

– არის ხელოვნური განაყოფიერება პროგრამა იქსი, როდესაც სპერმატოზოიდის ჩანერგვა ხდება კვერცხუჯრედში. გააჩნია გენეტიკურ ფაქტორს, მაგრამ უშვილობა პირდაპირ არ გადადის.

***– პროფილაქტიკის მიზნით მოდიან თქვენთან?***

– კი, მოდიან, ზოგი შეუღლებამდე, ზოგი შეუღლების შემდეგ მოდის, როცა პრობლემები იწყება.

***– რას ურჩევდით მამაკაცებს, რომ დროულად მიაკითხონ ექიმს?***

– მამაკაცთა უშვილობის პროფილაქტიკაში პირველი და უმთავრესი, რაც არ უნდა ბანალურად ჟღერდეს, არის ცხოვრების ჯანსაღი წესი, ანუ სრულფასოვანი დასვენება, რეგულარული სეირნობა, სრულფასოვანი ბალანსირებული კვება, ვიტამინებით მდიდარი საკვები, ზომიერი ფიზიკური დატვირთვა, ფსიქოემოციური

მდგომარეობის კონტროლი, ზომიერი გართობა, ნაკლები სტრესი. მაქსიმალურად უნდა მოერიდონ შებოლილ საკვებ პროდუქტებს, მწარეს, მჟავეს, მავნე ნივთიერებების მოქმედებას, ქიმიურ ნივთიერებებს, ნავთობპროდუქტებს, საღებავებს, მაიონიზირებელ რადიაციას, მაღალი სიხშირის დენებს, სიცივეს, სიცხეს. ზედმეტი წონა ამ საკითხში ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემაა, ამიტომ მამაკაცებმა მაქსიმალურად უნდა აკონტროლონ თავიანთი წონა. საყურადღებოა ისიც, რომ თუ მამაკაცს აქვს ვარიკოცელე, ფიმოზი, საზარდულის თიაქარი, დროულად უნდა გაიკეთოს ოპერაცია. მშობლებმა კი ჯერ კიდევ ბავშვობაში უნდა მიაქციონ ყურადღება, რომ მათი შვილების სათესლე ჯირკვლები თავის ადგილზე იყოს.

# ავსტრალიელმა მეგოლფეებმა ნიანგზე ნადირობა გამართეს

ავსტრალიის კვისლენდის შტატის ქალაქ ტაუნსვილის გოლფკლუბი ცდილობს, დაიჭიროს მსხვილი ნიანგი, რომელიც რამდენიმე კვირის წინ ერთ-ერთი მოედნის გვერდით დასახლდა.

ახლახან კლუბის ტერიტორიაზე მდებარე გუბურაში დააყენეს ხაფანგი, რომლის კონსტრუქციაც შედგება დიდი გისოსებისა და ტივტივებისგან. თუ ნიანგი შიგნით შევა, კარი ჩაიკეტება. ამის შემდეგ მისი სხვა ადგილას გადაყვანა სირთულეს აღარ წარმოადგენს.



პირველი შეტყობინება იმის თაობაზე, რომ ტაუნსვილის გოლფის მოედანზე ნიანგი დასახლდა, დეკემბრის დასაწყისში გავრცელდა. თვითმხილველთა თქმით, მტაცებელი ცხოველის სიგრძე დაახლოებით 3,5 მეტრს აღწევს და მას უილოუ დაარქვეს.

– მას სულ უფრო და უფრო ხშირად ამჩნევდნენ, – განაცხადა გოლფკლუბის წარმომადგენელმა ჯოშ ტინდეილმა. გოლფის მოთამაშეები დღეში 10-15-ჯერ მაინც ამჩნევენ ნიანგს, ამასთან, სხვადასხვა ადგილას. რეპტილია ბალახის მოედანზე სეირნობს, ქვიშიან ადგილზე მზეს ეფიცხება და ცენტრალური ტბის მახლობლად ჩნდება.

ტინდეილის თქმით, გოლფის მოედანზე საკმარისად არიან ცხოველები იმისთვის, რათა ასეთი ზომის მტაცებელმა თავი გამოიკვებოს. წყალსატევში კი ბლომადაა თევზი, კუ და გველთევზები. ასე რომ, ნიანგს შიმშილი არ ემუქრება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


ჩვენს საყვარელ

**იური ტერტერიანს**

დიდ პროფესიონალსა და უზადო პიროვნებას ვულოცავთ დაბადების დღეს! ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, ბედნიერებას, შემოქმედებით წარმატებებსა და უფლის წყალობას!

**სიყვარულით.**

**„ახალი თაობა“**



**საუკეთესო ტრადიციული ეფექტური სამკურნალო საშუალება მალამო „მენტორი პირველი“**

**ტრადიციული საუკეთესო საუკუნოვანი გამოცდილების მქონე ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება.**

**გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ - დილას და საღამოს.**

**☎ 599-73-48-21.**



**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიფური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო


# ასტროპროგნოზი

## 6 იანვრისათვის



**ვერძი** – ერიდეთ ახალგაცნობილ ადამიანებთან კონტაქტს, ასევე – საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **კურო** – ნუ გარისკავთ. მეორე ნახევრისგან განსაკუთრებულ ყურადღებას გრძნობთ. შესაძლოა, ახალი ნაცნობობა დიდ მეგობრობაში გადაიზარდოს. **ტყუპები** – შორს გამგზავრებისაგან თავი შეიკავეთ. მოაწესრიგეთ საოჯახო საქმეები. **კირჩხიბი** – დაბნეულობის გამო სამუშაო რიტმიდან ამოვარდნილი ხართ. მთელი ძალების კონცენტრაცია დაგჭირდებათ, რათა მიზანს მიაღწიოთ. **ლომი** – აგრესიული ადამიანებისგან თავი შორს დაიჭირეთ. ყურადღება საკუთარ ჯანმრთელობაზე გაამახვილეთ. **ქალწული** – ახალი საქმის დასაწყებად არახელსაყრელი დღეა. ნურაფერს დაგეგმავთ. განიტვირთეთ და დაისვენეთ. **სასწორი** – მიღებულ ინფორმაციას გადაუმოწმებლად არ ენდოთ. დღეს კარგი იქნება, თუ ფიზიკურად დაიტვირთებით. **მორიელი** – კონფლიქტური დღეა. დაიმახსოვრეთ, დუმილი ოქროა. სხვის საქმეში ნუ ჩაერევით. **მშვილდოსანი** – მშვენიერი პერიოდია ახალი იდეების რეალიზაციისათვის, საკუთარი ტალანტის წარმოსაჩენად. **თხის რქა** – გირჩევთ, ეს დღე სახლში გაატაროთ. ნებისმიერ სიახლეს მშვიდად შეხვდით. თავი მოიწესრიგეთ. **მერწყული** – ზედმეტი მიმნდობლობა სასურველი არ არის. თავი შეიკავეთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისაგან. **თევზები** – ვარსკვლავები გწყალობენ. განსაკუთრებით გაგიმართლებთ ფინანსური ოპერაციების კუთხით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 2. ლელვის ნაყოფში არსებული ალკალოიდი; 3. ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 4. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 5. ბულგარეთის პირველი დედაქალაქი; 11. სასტუმროს თანამშრომელი; 12. აზერბაიჯანული ნავთობკომპანია; 14. ბრიტანული ტაქსი; 16. ლიტერატურის, ხელოვნების სანიმუშო ნაწარმოებთა ერთობლიობა; 17. ზარმაცი, მუქთახორა ადამიანი; 19. კაზაკთა დიდი სოფელი; 21. ბაღ-ბოსტნის ძველი ქართული სახელწოდება; 22. იაპონიის ყველაზე დიდი ოსაკას აეროპორტი.

**თარაზულად**: 6. ერეტიკოსთა და მათი თხზულებების საჯარო დაწვა ინკვიზიციის მიერ შუა საუკუნეებში; 7. თხზულება „აბდულმესიანის“ ავტორი; 8. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი; 9. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ვანის რაიონში; 10. რაიმეს განხორციელების, მიმდინარეობის სისწრაფე; 13. ზღვისპირა კურორტი ხორვატიაში; 15. უნდო, ეჭვიანი ადამიანი; 18. მონასტერი ყვარლის რაიონში; 20. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 21. დამჟავებული ბოსტნეული; 22. გულისცემის აჩქარება; 24. ჰორიზონტალური სამშენებლო კონსტრუქცია.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჭონა; 2. თაობა; 3. ხვიფლი; 5. ოდიში; 6. „საფერავი“; 8. სარწყუნისი; 10. აზურიტი; 12. კოსტავა; 14. „ალმაზა“; 15. ფინიკი; 16. პრესა.

**თარაზულად:** 1. ჭანეთი; 4. კოდექსი; 7. სტოუნი; 9. ლოგიკა; 11. პრიკაზი; 12. კაჭარავა; 13. არაქსი; 17. კელარი; 18. ეირე; 19. ზვიადაური; 20. პითაგორა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. შოტლანდია; 2. წალკოტი; 3. ბოლიდი; 4. „მარკა“; 5. პრერია; 11. ტირადა; 12. ნევადა; 14. თექა; 16. ენოთეკა; 17. ჰერმესი; 19. ნიქოზია; 21. მამნე; 22. „პოლკა“.

**თარაზულად:** 6. კოლორადო; 7. სტატორი; 8. დიორი; 9. „ნაბუკო“; 10. დიეტა; 13. სიათა; 15. თედიაშვილი; 18. კარდენი; 20. ელია; 21. მწყერი; 23. „მარსელიოზა“; 24. სეგუნი.

# პოეტი მიშო ტყებუჩავა საქართველოში დაბრუნებას ითხოვს



„დამაბრუნეთ სახლში“ – ამ მოთხოვნით ახალგაზრდა ქართველი პოეტი მიშო ტყებუჩავა ინდოეთის ქალაქ გოაში შიმშილობს და სამშობლოში დაბრუნებას ითხოვს.

პოეტი უკვე მეორე კვირაა, სამშობლოში დაბრუნებას ვერ ახერხებს. ის კომპანია „ფლაი დუბაის“ გულგრილობაში ადანაშაულებს.

მიშო ტყებუჩავამ სოციალურ ქსელში საპროტესტო პლაკატებიც გამოფინა წარწერებით „წამიყვანეთ სახლში“.

როგორც პოეტის დედამ თამარ ლორთქიფანიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, კომპანია „ფლაი დუბაიმ“ მის შვილს საქართველოში გამომგზავრებაზე ჯერ ელექტრონული ვიზის პირობების დარღვევის გამო უთხრა უარი, შემდეგ კი უარის მიზეზად თვითმფრინავში უადგილობა დაასახელა.

# სერგი გვარჯალაძე დაოჯახდა



ტელეწამყვანი და საზოგადოებრივი მაუწყებლის კრეატიული ბლოკის დირექტორი სერგი გვარჯალაძე დაოჯახდა. მან ცოლად გადაცემა „სი სტუდიის“ წამყვანი ანა აბაკელია მოიყვანა.

სერგი გვარჯალაძე და ანა აბაკელია დიდი ხნის განმავლობაში მეგობრები იყვნენ, თუმცა მათი მეგობრობა სიყვარულში გადაიზარდა.

ახლადდაქორწინებულებმა საქართველო უკვე დატოვეს და თაფლობის თვეს ტაილანდში ატარებენ. საქორწინო მოგზაურობის ამსახველი ფოტოები სერგი გვარჯალაძემ სოციალურ ქსელში გააზიარა.

# მოზარდს, რომელსაც მტაცებელი თევზისგან დამცავი მოწყობილობა ეკეთა, ზვიგენმა უკბინა



აშშ-ში სერფინგისტს, რომელსაც ეკეთა სპეციალური მოწყობილობა, რომელმაც ადამიანი მტაცებელი თევზის თავდასხმისგან უნდა დაიცვას, ზვიგენმა უკბინა.

ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც უფროსკლასელი ზაკ დეივისი ფლორიდის სანაპიროსთან მდებარე კუნძულთან სერფინგით იყო დაკავებული. მას ხელზე ეკეთა საშობაოდ ნაჩუქარი მაგნიტური სამაჯური შარკ ბენზი. რეკლამის თანახმად, ის ზვიგენებს წყალში ორიენტირებაში ხელს უშლის და მათ ადამიანებისგან უკუაგდებს.

თუმცა ამ შემთხვევაში ზაკს ამ მოწყობილობამ ვერ უშველა.

– ვიგრძენი, როგორ მტაცა ორი-სამი წამით ხელზე პირი ზვიგენმა, – განაცხადა მოზარდმა. მისივე თქმით, ტკივილი თითქმის არ უგრძნია. იმისთვის, რათა სისხლდენა შეეჩერებინა, მან სერფინგის თასმები ხელზე გადაიჭირა.

საავადმყოფოში დაშავებულს 44 ნაკერი დაადეს. ექიმების ვარაუდით, მოზარდს შავფარფლიანმა ზვიგენმა უკბინა. ამ სახეობის წარმომადგენლები სიგრძეში 1,5 მეტრამდე იზრდებიან, თუმცა აგრესიულობით არ გამოირჩევიან და, უმეტეს შემთხვევაში, ადამიანს უმნიშვნელო დაზიანებას აყენებენ.

რაც შეეხება დამცავ სამაჯურს, რომელიც სერფინგისტს ეკეთა, ის ზვიგენებისა და სკატების მაგნიტური ველის მიმართ მგრძნობელობაზე მოქმედებს. ამ ტექნოლოგიის ეფექტურობა კვლევებით იქნა დადასტურებული, რომლებიც სამეცნიერო ჟურნალებშიც გამოქვეყნდა.

მოზარდის დედა ზვიგენის საწინააღმდეგო სამაჯურის გამყიდველისთვის დაბრუნებასა და მასში გადახდილი 80 დოლარის უკან დაბრუნებას აპირებს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

ასოციაცია მესხეთის პრეზიდიუმი
მისი ხელმძღვანელის ამირან მექვაბიშვილის სახით იუწყება
ასოციაციის გამგეობის წევრის, ღირსეული პიროვნების
**გურამ გრიგოლიას**
გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# თბილისის ნაძვის ხე საუკეთესოთა ჩამონათვალში მოხვდა



როდესაც წლების წინ მხატვარმა მურაზ მურვანიძემ თავისუფლების მოედანზე მდგარ წმინდა გიორგის ძეგლს ნაძვის ხის ეფექტი მისცა, მხატვარი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს, წმინდა გიორგის კაბა ჩააცვაო. ამის მიუხედავად, ყოველ წელს მურაზ მურვანიძის დიზაინით შექმნილი ნაძვის ხე სხვადასხვა საერთაშორისო გამოცემის ყურადღების ცენტრში ექცევა და ხან ყველაზე ორიგინალური ნაძვის ხეების ჩამონათვალშია, ხანაც – საუკეთესოების.

გამონაკლისი არც წელს მოხდა. თბილისის მთავარი ნაძვის ხე ყველაზე ლამაზად და ორიგინალურად დასახელდა და მსოფლიოს რჩეულ 13 ნაძვის ხეს შორის მოხვდა.

საქართველო ესტონეთის, საფრანგეთის, პოლონეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ბრაზილიის, პორტუგალიის, კოლუმბიის, ესპანეთის, ლიტვის, ჩინეთისა და სინგაპურის ქვეყნებს შორის აღმოჩნდა, სადაც ყველაზე ლამაზი და ორიგინალური ნაძვის ხეებია.

# სტეფანემ მამუკა ჩარკვიანის სიმღერის ახლებური ვერსია ჩაწერა



„ჩემი აღარა ხარ, მორჩა“ – მამუკა ჩარკვიანის რეპერტუარიდან ერთ-ერთი გამორჩეული სიმღერა მომღერალმა სტეფანე მღებრიშვილმა ახლებური ვერსიით ჩაწერა.

სიმღერა ინტერნეტში გავრცელდა. მან მსმენელში დიდი მოწონება დაიმსახურა და უკვე ათასობით მოსმენა, დადებითი კომენტარი და მოწონება აქვს. პირველად სიმღერა სტეფანემ დიდ საკონცერტო დარბაზში საახალწლო კონცერტზე შეასრულა ნიკოლოზ რაჭველთან და სახელმწიფო ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად.

მეორე დღეს სტეფანე გახმაურებულ ქართულ სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებში“ გამოჩნდა, სადაც იგივე სიმღერა იმღერა თენგოსა და მისი გარემოცვის ახალი წლის აღნიშვნის დღესასწაულთან დაკავშირებით, თანაც ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პერსონაჟი ლუნა საცეკვაოდაც გაიწვია.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ბრიტანელმა პილოტმა ცაში საახალწლო მილოცვა გამოსახა

ბრიტანეთის ბაკინჰემშირის საგრაფოს ქალაქ ბუკინჰემში მცხოვრებმა პილოტმა ბენ დევისმა ცაში გიგანტური საახალწლო მილოცვა გამოსახა. მისი მარშრუტის ტრაექტორიით გამოვიდა ფრაზა „Happy NY“.

მფრინავის თქმით, 346-კილომეტრიან ფრენას ორი საათი და 23 წუთი დასჭირდა. დევისმა ის ორადგილიანი თვითმფრინავით ევექტორ ევ-97-ით შეასრულა.

მამაკაცმა აღიარა, რომ მან საახალწლო მისალმების ცაში „დახატვა“ პირველივე ცდაზე მოახერხა.

– შეცდომა სულ ბოლო ეტაპზე რომ დამეშვა, ყველაფრის თავიდან დაწყება მომიწევდა, – აღნიშნა მან.

# კანადელმა საკუთარი ძაღლი პუმის თავდასხმისგან იხსნა



კანადის ალბერტის პროვინციის მცხოვრებმა პუმას, რომელიც მის ძაღლს თავს დაესხა, ცხვირ-პირში ჩასცხო.

31 წლის უილიამ გიბმა თავისი ჰასკის ჯიშის ძაღლი ქალაქ უაიტკორტის მახლობლად მდებარე ტყეში სასეირნოდ გაუშვა. მოულოდნელად მას ძაღლის წკავწკავი შემოესმა. მან ადგილზე იმ მომენტში მიირბინა, როდესაც პუმას ჰასკი მიწაზე ჰყავდა გართხმული.

როგორც პოლიციის ადგილობრივ განყოფილებაში განმარტეს, მტაცებლისთვის ჩარტყმისა და დაყვირების შემდეგ გიბმა მისი გაგდება მოახერხა. ამის შემდეგ მან სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები გამოიძახა, რომლებმაც ადგილზე მისვლის შემდეგ პუმა მოკლეს. პოლიციის სერჟანტ ტომ კელისის თქმით, უილიამს გაუმართლა, რომ მტაცებელი მას თავადაც არ დაესხა თავს. ჰასკის ვეტერინარული დახმარება აღმოუჩინეს.

# ინდონეზიელმა დაბადების დღე 146-ედ იზეიმა

ინდონეზიელმა საპარმან სოდიმეჯომ, რომელიც, არაოფიციალური მონაცემებით, პლანეტის უხუცესი მცხოვრებია, თავისი 146-ე დაბადების დღე აღნიშნა.

დღეგრძელი ინდონეზიელის საბუთებში მითითებულია, რომ ის 1870 წლის 31 დეკემბერს დაიბადა. დღესასწაული სოდიმეჯომ (მისი კიდევ ერთი სახელია – მბახ გოტო) ნათესავებთან ერთად კუნძულ იავაზე აღნიშნა. მიუხედავად ასაკისა, ის დღემდე დამოუკიდებლად გადაადგილდება.



აღსანიშნავია, რომ სოდიმეჯოს ცხრა ძმა და და ჰყავდა, რომლებიც ცოცხლები აღარ არიან. მას ასევე ჰყავდა ოთხი ცოლი. ასევე ცოცხლები აღარ არიან მისი შვილები, სამაგიეროდ, ის შვილიშვილების, შვილთაშვილებისა და მათი შვილების გარემოცვაში ცხოვრობს.

ოფიციალურად პლანეტის უხუცეს მამაკაცად ისრაელ კრისტალი ითვლება, რომელიც 1903 წლის 15 სექტემბერს რუსეთის იმპერიაში დაიბადა. მეორე მსოფლიო ომის დროს კრისტალი ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში იმყოფებოდა, მოგვიანებით ისრაელში გადასახლდა. ამჟამად ის 113 წლისაა.

# ცხენირემმა მანქანას დოლი გაუმართა

ამერიკის მონტანის შტატში ცხენირემმა გზატკეცილზე მიმავალ ავტომობილს „დოლი“ გაუმართა.

ცხოველის უჩვეულო ქცევის თვითმხილველი გახდა ჯესიკა რიჩარდსი, რომელმაც ეს ყოველივე ვიდეოზე გადაიღო და შემდეგ ფეისბუქში განათავსა. ვიდეორგოლის თანახმად, ცხენირემმა გზატკეცილზე მანქანის მხარდამხარ რამდენიმე ასეული მეტრი ირბინა, მხოლოდ ამის შემდეგ შეჩერდა და ტყეს შეაფარა თავი.

რიჩარდსის თქმით, მას ბევრჯერ შეხვედრია ავტოსაგზაო ნიშნები, რომლებიც მძღოლს ტრასაზე ცხენირმის შესაძლო გამოჩენის თაობაზე აფრთხილებდნენ, მაგრამ, ცხოველს მანქანისთვის „დოლი“ გაემართოს, ასეთ რამეს არასდროს შესწრებია. მან ასევე განაცხადა, რომ ამაზე უკეთესი საშობაო საჩუქარი არ ჰქონია.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## პროგრამა

**6 იანვარი**
**პარასკევი**

**08.00** "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **09.00** მხ/ფ "**სანტა თათუნას საპოვნელად**" **10.30** ტ/სპექ. "**უჩინმაჩინის ქუდი**" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.15** მხ/ფ "**კაუჭა**" **14.30** ქართული მხ/ფ "**მზიური**" **16.20** მხ/ფ "**გრძნობა და გონება**" (ჰ. გრანტი) **18.30** ქართული მხ/ფ "**სიყვარული ყველას უნდა**" **20.30** ტ/სერ. "**ომი და მშვიდობა**" **21.30** "ერისიონი"- **2015** წლის საიუბილეო კონცერტი **23.00** შობის ტრანსლაცია

**08.00** ვენის სიმფონიური ორკესტრის საახალწლო კონცერტი. **08.40** დ/ფ "ჯეიმის საუკეთესო შობა" **09.30** მხ/ფ "**ანგელოზი ოჯახში**" **11.00** მხ/ფ "**ფან-ფან ტიტა**" (ჯ.ფილიპი) **12.35** მხ/ფ "**ჩრდილოეთის ირმის დაბრუნება**" **14.00** ქართ. ტ/ფ "**რეკორდი**" (გ.პატარაია) **15.00** "ბრიფინგის დრო" **15.20** ზაზა მარჯანიშვილი - წეროს მოტანილი საჩუქარი. **16.50** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **17.15** დ/ფ "ჯეიმის საუკეთესო შობა" **18.05** მხ/ფ "**სიღარიბესა და სიმდიდრეში**" **20.00** "მოამბე" **20.30** ქართ. მხ/ფ "**მე, ბებია, ილიკო და ილარიონი**" **22.00** საშობაო კონცერტი. **23.00** ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაული

**07.00, 16.00** სერ. "**თანხმობა**" **08.00** სერ. "**ოზის ალქაჯები**" **2** სერ. **10.00** სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.35** ქრონიკა **11.20** სერ. "**გონული**" **7-8** სერ. **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35** სერ. "**პატარძალი**" **18.50, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **3** სერ. **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** სერ. "**შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ-6**" **3** სერ. **23.00** საშობაო ლიტურგია **03.00** მხ/ფ "**მცირე განათლება**" **04.35** მხ/ფ "**მოჩვენება**"

**06.00** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45, 19.55, 20.05** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **08.00** ანიმაცია " Cars 2" **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** ქ.მხ/ფ "**სიყვარული ყველას უნდა**" **13.55** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **18.50** სერ. "**ოქროს გალია**" **20.50** ლოტო **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **46 23.00** ქ.მხ/ფ "**რაც ყველაზე ძალიან გიყვარს-2**" კონცერტი "ლელა წურწუმია" **00.00, 03.30** მხ/ფ

**08.00** ან/სერ. ვარსკვლავური ომები **09.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **10.00, 18.00** სერ. "**სკანდალი**" **11.00** სერ. "**კერძო პრაქტიკა**" **13.00** სერ. "**ჩიკაგოს მეხანძრეები**" **15.00** მხ/ფ "**ექვსი დღე, შვიდი ღამე**" **17.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **20.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30** მხ/ფ "**სცენის ვარსკვლავი**" **22.00** სერ. "**მოტივი**" **23.00** სერ. "**ინტერესის ობიექტი**" **00.00** მხ/ფ "**ბეტმენი დასაწყისი**" **02.25** მხ/ფ "**ბნელი რაინდი**"

**06.15** კვირიაკე **07.20** დ/ფ "რწმენის აღორძინება" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.25** ქვიშით ამღერებული პოეზია **10.35** მხ/ფ "**არასერიოზული კაცი**" **12.10** პორტრეტები **13.00** სათავეებთან-ბესიკ ხარანაული **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** გამოყენებითი ხელოვნება **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.30** ბიბლია ბავშვებისთვის **15.40** დ/ფ "ველური ბუნება" **16.10** კონცერტი **17.20** განთიადის სიუჟეტი "შობის მინიატურები" **17.30** ჩვენი საგანძური **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**როცა აყვავდა ნუში**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** ქვიშით ამღერებული პოეზია **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში "თრიალეთი–მიმქრალი წარსულის ძიებაში" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დეკორატიული ფლორა "ბეგონია" **00.35** საუფლონი "განკაცება მაცხოვრისა" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 1.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.50** "ქვიშის ზღაპარი" **8.00** სერ. "**კარმელიტა**" **10.00** სერ. "**ორი გული**" **11.00** "სიყვარულის იმპერია" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 2.30** სერ. "**ჩემი ერთადერთი ცოდვა**" **13.30, 15.30** სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.50** სერ. "**მორიგე ექიმი**" **19.55** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.55** სერ. "**მიცანი თუ შეძლებ**" **21.55** სერ. "**გემი**" **22.40** სერ. "**უცხო**" **0.30** მხ/ფ "**პრეზიდენტი და მისი შვილიშვილი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**6 იანვრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.6692 |
| ევრო | 2.7858 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.2738 |
| 100 რუსული რუბლი | 4.3683 |

## ამინდის პროგნოზი 6 იანვრისთვის





## 10 იანვრიდან

### მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები




**ვიქტორ ჰიუგო**

**პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**


## იუმორი

ორმა მეგობარმა ბანკეტზე ლატარიის გათამაშებაში მიიღო მონაწილეობა. ლევანმა კბილის სახეხი ჯაგრისი მოიგო, ხოლო გიგიმ ტუალეტის სახეხი ჯაგრისი. რამდენიმე დღის შემდეგ გიგი მეგობარს ურეკავს და ეკითხება:

– როგორი ჯაგრისია, გამოგადგა?

– ნორმალურია, კარგად ხეხავს კბილებს. და შენი ჯაგრისი?

– საშინელებაა, ტუალეტის ქაღალდი ბევრად ჯობია!

•••

ორი ნაცნობი საუბრობს, ერთი მეორეს ეუბნება:

– მინდა ახალ წელს რაღაც განსაკუთრებულად შევხვდე.

– შეეცადე ფხიზელი შეხვდე.

– არა, ექსტრიმი არ მიზიდავს.

•••

მეზობელი მეზობელს ეკითხება:

– რატომ ღრიალებს თქვენი ბავშვი? რა უნდა?

– ღრიალი უნდა!

•••

ქმარი ცოლს ეუბნება:

– ძვირფასო, ნამდვილი აისბერგივით ხარ.

– ისეთივე ცივი და შეუვალი ვარ?

– არა, მთელი შენი წონის 90 პროცენტს უკანალი შეადგენს.

•••

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

– პრემიერ-მინისტრის საახალწლო მიმართვას უყურე?

– არა, და ვის მიმართა?

•••

ერთი პენსიონერი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– გადავიტანე ომი, სამი საავტომობილო კატასტროფა, ერთიც საავიაციო, ორი წარუმატებელი და ერთიც წარმატებული ქორწინება, სამჯერ ქონების აღწერა ვალების გამო და ერთი გაკოტრება. გუშინ კი შვილიშვილი მეუბნება: „ბაბუა, შენ ცხოვრების არაფერი გაგეგება!“

•••

მეგობარი მეგობარს ეკითხება:

– როგორ ჩაიარა ახალი წლის ღამემ?

– არ ვიცი, ჯერ არ მოუყოლიათ...

•••

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– მორჩა, დღეიდან ფემინისტი ვარ!

– შენი მკერდის პატრონს ფემინისტობა არ შეგშვენის.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



## 12 იანვრიდან




### კულინარია ჰობად

ამ წიგნში მოცემულია როგორც კარგად ცნობილი, ასევე უცნობი რეცეპტები, რომელთა მომზადებასაც სახლის პირობებში თითოეული თქვენგანი ძალიან მარტივად შეძლებს.

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**


## ჩელსის მოგებათა სერია ტოტენჰემმა შეწყვიტა



ინგლისის პრემიერ ლიგის მე-20 ტურის შეხვედრაში ტოტენჰემმა საკუთარ მოედანზე ჩელსი მიიღო და დაამარცხა ანგარიშით 2:0.

ამრიგად, ტოტენჰემმა ჩელსის 13-მატჩიანი მოგებათა სერია შეწყვიტა, რომელიც ჯერ კიდევ სექტემბრის ბოლოს დაიწყო. ტოტენჰემმა ძალიან დამაჯერებლად ითამაშა თანაქალაქელების წინააღმდეგ, ახალგაზრდა ვარსკვლავმა დელი ალიმ კი დუბლის შესრულება შეძლო და სწორედ მისი გოლების წყალობით გაიმარჯვა ტოტენჰემმა.

ამ მოგების შემდეგ ტოტენჰემმა სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზე გადაინაცვლა, ჩელსი კი ისევ ლიდერია და მეორე ადგილზე მყოფ ლივერპულს 5 ქულით უსწრებს. შემდეგ შეხვედრას ჩელსი 14 იანვარს ლესტერის წინააღმდეგ ჩაატარებს.

## მოურინიომ მანჩესტერ იუნაიტედის გულშემატკივრები შეაქო



ჟოზე მოურინიომ თავის მანჩესტერულ ცხოვრებაზე ისაუბრა და თქვა, რომ მანჩესტერ იუნაიტედში მუშაობა ძალიან სიამოვნებს, რადგან ამ გუნდს შესანიშნავი გულშემატკივრები ჰყავს, რომლებიც ყოველთვის გვერდში უდგანან გუნდს.

მოურინიოს აზრით, ფეხბურთში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი სწორედ ერთგული გულშემატკივარია და ამ მხრივ მანჩესტერს ყველაფერი რიგზე აქვს. პორტუგალიელი სპეციალისტი გულშემატკივარს დაჰპირდა, რომ მისი გუნდი აუცილებლად გაახარებს მათ მომავალში და ღირსეულ შედეგს აჩვენებს.

აღსანიშნავია, რომ მანჩესტერ იუნაიტედმა ბოლო 5 თამაში მოიგო, თუმცა პრემიერ ლიგის სატურნირო ცხრილში მოურინიოს გუნდი ისევ მე-6 ადგილზეა.

## პატრის ევრას მანჩესტერ იუნაიტედში დაბრუნება სურს

ტურინის იუვენტუსის ფრანგ მცველ პატრის ევრას თავის ყოფილ გუნდ მანჩესტერ იუნაიტედში დაბრუნება სურს.

ევრა იუვენტუსში თავისი მდგომარეობით უკმაყოფილოა და ფიქრობს, რომ ინგლისში უკეთ შეძლებს თავისი პოტენციალის გამოყენებას. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჟოზე მოურინიოც არ არის წინააღმდეგი, რომ ევრა დაბრუნდეს და, შესაძლოა, ეს ტრანსფერი იანვარშივე განხორციელდეს.



ევრამ მანჩესტერ იუნაიტედი 2014 წელს დატოვა, მანამდე კი ამ გუნდის ღირსებას 7 წლის განმავლობაში იცავდა.

2008 წელს მან იუნაიტედთან ერთად ჩემპიონთა ლიგის მოგებაც შეძლო.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ჩინელებმა ტრამპის ვარცხნილობიანი მამლის ძეგლი ააგეს

ჩინეთის პროვინცია შანსის ქალაქ ტაიიუანის ცენტრში მოღუშული გამომეტყველების მქონე ოქროსბიბილოიანი მამლის გიგანტური ძეგლი აღმართეს, რომელიც აშშ-ის ახლადარჩეული პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ვარცხნილობას წააგავს.

ქანდაკება დაამზადეს კომპანიის შეკვეთით, რომელსაც ერთ-ერთი ადგილობრივი სავაჭრო ცენტრი ეკუთვნის. 2017 წელს ეს მამალი მისი სიმბოლო გახდება – განუმარტა ჟურნალისტებს დაგეგმარების განყოფილების ხელმძღვანელის მოადგილე ცაო მინლიანმა.

ინტერნეტში უკვე იყიდება ტაიიუანის ცენტრში აღმართული ქანდაკების ასლები. მინიატურული მამლის ყიდვა 57 დოლარად არის შესაძლებელი, ხოლო 1739 დოლარად



მსურველი მისი ათმეტრიანი ასლის მფლობელი გახდება.

## იტალიელი დირიჟორი საბავშვო შოუდან გააძევეს

იტალიელი დირიჟორი ჯაკომო ლოპრიენო სამუშაოს მას შემდეგ ჩამოაცილეს, რაც სადღესასწაულო საბავშვო შოუში გამოსვლის დროს მან განაცხადა, რომ თოვლის პაპა არ არსებობს.

ინციდენტი რომის საკონცერტო დარბაზში მოხდა. პარკო-დელა-მუზიკაა ის საკონცერტო დარბაზი, სადაც დისნეის მულტფილმის „ცივი გულის“ მოტივებზე იმართებოდა სპექტაკლი. გავრცელებული ინფორმაციით, დირიჟორი მაყურებლების ქცევამ გააღიზიანა, რომლებმაც დარბაზიდან გასვლა დაიწყეს ისე, რომ შოუს დასრულებას არ დალოდებიან. ამით მათ სურდათ, გარდერობთან რიგში დგომისთვის აერიდებინათ თავი.



რაღაც მომენტში აღშფოთებულმა ლოპრიენომ მიკროფონი აიღო და განაცხადა: „თოვლის პაპა, ნებისმიერ შემთხვევაში, არ არსებობს. დირიჟორის მოქმედება – მშობლების აღშფოთების, ხოლო ბავშვების ატირების მიზეზი გახდა.

სპექტაკლის ორგანიზატორებმა დაუყოვნებლივ განაცხადეს, რომ არაფერი აქვთ საერთო ლოპრიენოს განცხადებასთან. მისი ადგილი სხვა დირიჟორმა დაიკავა, რომელიც თავისი მოვალეობის შესრულებას მომხდარიდან მეორე დღესვე შეუდგა. აღსანიშნავია, რომ სპექტაკლზე დასასწრები ბილეთების ფასი 30-დან 48 დოლარამდეა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ვახტანგ გორგასლის ვაჟიშვილი; 2. დამარილებული და შებოლილი ღორის ხორცი; 3. პატარა არია ოპერაში; 5. მტრედის ბარტყი; 6. რაიონული ცენტრი გურიაში; 8. ურთიერთდათმობით მიღწეული შეთანხმება; 10. ინგლისელი ქართველოლოგი, „ვეფხისტყაოსნის“ პროზაულად მთარგმნელი; 12. ძველ რომში მოხელე, რომელიც აწარმოებდა მოქალაქეთა ქონების შეფასებას და აკონტროლებდა მათ მიერ გადასახადების გადახდას; 14. კანის ანთებითი დაავადება; 15. მეცნიერების ერთ-ერთი დარგი; 16. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი.

**თარაზულად**: 1. ტელეგრაფით გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინება; 4. მიწაში ბინადარი ცხოველი; 7. ხორბლის რაოდენობის საზომი საერთაშორისო ერთეული; 9. იაპონური ელექტროტექნიკური კომპანია; 11. წყალხმელეთა ცხოველი; 12. მრავალსართულიანი კარსტული მღვიმე ტყიბულის რაიონში; 13. გია დანელიას კინოკომედია; 17. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი; 18. გემის უკანა ნაწილი; 19. ორნამენტი ანუ...; 20. მეშახტეთა შორის გავრცელებული ფილტვების დაავადება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

